


ლიტერატურული გაზეთი

№24 16-29 აპრილი 2010

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ბესიკ ხარანაული:

ნობელის პრემიაზე უთვალავ მწერალს აფრიალეებს: ვინც იმედი გადაიწურა, პასკვილებს უწერს, სხვები კი პირმოთნედ ელოლიავენ. მე მგონია, რომ თუ მწერალს პატივმოყვარეობა ამოძრავებს, ის თავისუფალი ვერ იქნება. მწერალში უპირველესი შემოქმედებითი თავისუფლებაა...

ჩემდა სასიხარულოდ აღმოვაჩინე, რომ პირველიდან ბოლო წიგნამდე მე ვარ, ბესიკ ხარანაული და არ შევცვლილვარ. ერთი ვარ, ერთი ჩემი თავისთვის და ეს ძალიან მიხარია...

ყველა ითხოვს ჟანრის დასახელებას, თქმას, თუ რა დანერგე, მაგრამ ჩემთვის ჟანრს ცვლის სიტყვა „წიგნი“. წიგნს რომ დანერგე, ჟანრის წინაშე აღარ ხარ ვალდებული. უამრავი სათაურია წიგნში. 140 იყო ერთხელ რომ დავთვალე. საერთოდ, ხშირად მიჩნდება გრძნობა, რომ არ ვიცი, რა არის. ვიცი მხოლოდ ის, რომ უმთავრესი პოეზიაა...

კაკო

— ჩემზე მოგინდა მარხვა?
 — ნუ ყვირიხარ, ვაა.
 — ჩამოდი, ფატი, გაფიცებ შევილიშვილებს. ამ ერთხელაც და ვაფშე აღარ მოვალ!
 — არა-მეთქი და ვსიო, რა!
 ნუგომ ავტოფარების კარებს ფეხი მიარტყა, შეიგინა. ფატი ოთახში შებრუნდა და კარი მიიხურა.
 — მაიცა, დაგვრევით ყველას, თქვე ბოზებო, მე თქვენი... როდის აქეთ აღარ ხარ მინეტშიცა, შენი ნაკლა...
 ნუგოს ალბათ ფეხი ეტკინა, ჩაიშხლდა და კოჭის დაზღვევა დაიწყო.
 — ყველას დაგეძრევით, ბოზებო... — ბურტყუნით წამოდგა ცოტა ხანში და ქუჩის ბოლოს მდგარი სადღეღამისო სუპერ-მარკეტისკენ წავიდა.

* * *

— ეს საკმარისია? — ცალი ხელთათმანი გაიძრო ფარნამ.
 — რა არი, დაგეძრნათ, მამაძალი? აგელოთ ცოტა კიდევ.
 — ორი საათი იმ ძაღლის ჩურთან ვიყავი ჩაცუცქული და წვეთ-წვეთობით ვაგროვე, ტო. ლამის დამკბინა, შენ რა გენაღვლება, შე ჩემო! არ ეყოფა რო ეს?
 — ეყოფა. წვეთზეც გრძობენ სუნს და აღარ იჩხუბებს, პროსტა... კაი, ხო, დაიკიდე.
 ფარნამ ნაფტიზინის ბოთლში მოგროვებული ძაღლის სისხლი მაგიდაზე დადგა და მიორე ხელთათმანის გახდა დაიწყო.
 — გამოყლევდი, ტო, შენ? — გველნაკბენივით წამოხტა იოსება.
 — რა?
 — რა რა, გამოსირდი? ვჭამ, ეს დედა-მოტყუნული და რო დამიდგი თვიური მაგიდაზე... ქლიავი ხარ, რა. ტფუი...
 ფარნა გადაბჟირდა. მერე ჩანგალი აიღო და ტაფამწვარში ჩაარჭო, დაატრიალა და ეგრევე პირისკენ გააქანა.
 — ხანიგა ხარ, კაკოს თავს გეფიცები!
 — ხელსახოცით ტურნები მოინმინდა იოსებამ და ბოჭასების თასმები შეიკრა.
 — ნავალ მე, ძაღლს გამოვიყვან.
 — უჰუ! — უხასიათოდ უპასუხა ფარნამ და ბოთლში ჩარჩენილი ლუდი ბოლომდე ჩაცალა.

* * *

— ხო, ათასდოლარიანზე ნაკლებ მაზს მე არ ვდებ, ხო იცი, ძმაო?! კი, ბრატ, ძაღლი მზად მყავს, დაბანილი და გაქათათებული. კაი, ტო, რას მიხსნი ეხა? ეგენი მემღება? ბაზარი არაა, პროსტა, შეიგის მერე მეუღლის დაბადების დღეზე... ხარაშო, ბრატ, შევთანხმდით. მე ჩავალ, ცოტას ვარბენინებ და... — გიგუშამ მობილური დაკეცა.
 სადარბაზოში კაკო შეეჩეხა.
 — ვაა, კაკო! რავა ხარ, ბრატან? — თავზე ხელი გადაუსვა, თმა აუჩეჩა, — როგორ მიდის საქმეები?
 — კარგათ, — კაკომ თვალი აარიდა გიგუშას.
 — სწავლობ?
 — ისე რა.
 — რომელში ხარ ეხა?
 — მეხუთეში.
 — კიდევ გაგდებენ სკოლიდან?
 — არა, ვინ გამომაგდებს?!
 — კარგად თუ არ ისწავლი, ნინის არ გამოგაყოლებ, იცოდე! — გაიცინა გიგუშამ.
 კაკომ თავი დახარა.

— ჩვენთან თუ მიდიხარ, ნინი არ არი. ფატიმ ნაიყვანა, ახალი ფეხსაცმელები უნდა უყიდოს.
 — რაღაცა წიგნი მინდოდა...
 — ნესია სახლში, — გიგუშა დაიძრა და უცებ ისევ შემობრუნდა, — ბიჭო, კაკო, თქვენი უბნელი როა, ნარკამანი, რა ქვია, იმ ჩემისას, პიტი რო ყავს...
 — ტარასა?
 — ხო, ტარასა. მაგის პიტი კარგათ ჩხუბობს, ხო არ იცი?
 — შენ უნდა აჩხუბო, გიგუშა ძია?
 — ხო, მე ვაჩხუბებ.
 — არ აჩხუბო!
 — რატო?
 — არ აჩხუბო.
 — ვაა, რატო?
 — მამაჩემთან ყავდათ ეგ ძაღლი დილით.



— მერე?
 — მთიული ნაუსვეს. არ იჩხუბებს მეორეო.
 — რა ნაუსვეს?
 — მთიული.
 — რა მთიული?
 — ძაღლის სისხლი როა.
 — თვიური?
 — ხო, ეგა.
 — ე, ახვრები ნახე, ტო! ვაა, ჯიგარი ხარ, კაკო. ნინი შენია, ძმაო, რო გაიზრდები და რო ჩააბარებ სამედიცინოზე. ეე, ახვრები ნახე! — გიგუშამ სწრაფად ჩაირბინა კიბეები, კაკომ კარზე დააკაკუნა.
 კარი ნესიმ გააღო და ბავშვის დანახვაზე სახეზე შეეტყო, როგორ დაიძაბა.
 — როგორ ხარ, კაკო? ნინი არაა სახლში.
 — ნინისთან არ მოვედი, ნესი... — ალბათ დეიდას თქმას აპირებდა და ენას კბილი დააჭირა.
 ნესის ვერ გადაეწყვიტა, შეეშვა ბავშვი სახლში თუ არა. რამდენიმე წამი ასე იდგნენ, მერე გაინია და შემოდო, უთხრა.
 კაკომ გულმოდგინედ გაინმინდა ფეხები ტილოზე და შევიდა.
 * * *
 — მისამდე ამოვედი უკვე, ძმაო. თუ არ გაქვს, თქვი რა. რას მარბენინებ? — კაცს შემოიღო სახე ჰქონდა და ხელების-მტვრევით მიდი-მოდიოდა.
 — ლუდი არ გინდა? — ნუგომ ბოთლი გაუნოდა სტუმარს.
 — ლუდი მინდა მე ეხა, ძმაო? დედა მაქ მოტყუნული და ლუდი მინდა?
 — ნუ ნერვიულობ, რა. გეუნები, მალე იქნება. შაქარი კი არაა, მაღაზიაში რო იყიდებოდე. მოვა, რა.
 — გექნება რამე გადანახული და მანვალე ეხა შენ.
 — არაფერი მაქ-თქო, გასაგებად ხო

გითხარი? ნადი რა, ძმაო, ადე, გადი და მოდი ოც წუთში. არ გაახურა ამან საქმე?!
 კაცი წამოხტა, სკამს ფეხი მიარტყა და ბინიდან გავარდა.
 ნუგო სავარძელში ჩაჯდა და ტელევიზორი ჩართო.
 — მასტერ, შენი დედა მოვტყან, სად გდისხარ ამდენი ხანი?! — გაიფიქრა და ლუდი მოსვა.

მასტერა

მთხი წლის კურცხალი. წონა 14 კილოგრამი. არასოდეს უნადირია. დედა — ჯინა, მამა — რიჩი. ლეკობიდანვე ნუგოს ჰყავს. მიჰყავს ხოლმე გარდაბნის რაიონში, სოფელ იზმაზლოში, ადგილობრივ თათარ ბარიგასთან და იქ ტოვებს. თათარი სპეციალურად დამზადებულ საყელურში ნარკოტიკს უღაგებს და მასტერაც უპრობლემოდ პოულობს თავის სახლს.
 ორი წლის აწყობილი საქმეა.

* * *

— იცოდეთ, თავს მოვიკლავე.
 — რა სისულელეებს ამბობ, შვილო? კამპოტს დალევ?
 — მე შვილო არ ვარ და თავს მოვიკლავე.
 — მერე ნინის ქვრივად მიტოვებ? — ნესი მიხვდა, რომ ძალით გაეცინა.
 კაკო დაძაბული იჯდა. პერანგის ზედა ორი ღილი ოთხჯერ მაინც გაიხსნა და შეიკრა.
 — კარგი, ვთქვით, გავშორდი ჩემ ქმარს, მერე? ცოლად მომიყვან? — ნესის ისევ ნერვიულად ელიმებოდა, იმდენად აბსურდული იყო ეს საუბარი.
 — არ ვიცი. იცოდეთ, თავს მოვიკლავე. ნესი ბავშვთან გადაჯდა. თავზე ხელი მოხვია, მიიკრა. უცბად შეეკუმშა გული. შერცხვა, ასე რომ იძაბებოდა თერთმეტი წლის ბავშვთან და როგორც დიდს, ისე უყურებდა.
 ეტირებოდა კაკოს.
 — თავს მოვიკლავე! — იმეორებდა.
 ნესი ადგა, ოთახიდან დიდი, ზოლებიანი ცხვირსახოცი გამოიტანა, მაგრამ კაკო აღარ დახვდა.
 — ღმერთო, რა დავაშავე! — ამოიხრია და სიგარეტს მოუკიდა.

* * *

ბიბუშამ ძაღლი რაღაც რკინას გამოაბა და ბიჭებთან მივიდა.
 — ზდაროვა!
 — ზდრასტი!
 — სადაა ის სომეხი?
 — აბა, სომეხი?
 — აი, ისა რა, თქვენი უბნელი როა, პიტი რო ყავს, რო უნდა ეჩხუბებინა ამასთან! — თავი გააქანა თავისი ძაღლისკენ.
 — მოვა, ალბათ.
 — მოვა კი არა... მაგას ვაბშე, შიგ ხო არა აქვს?
 — რა არი, რო?
 — რა რა არი, მაგის დედა ვატირე, სირი ხო არ ვგონივარ?
 — რა არი-თქო?
 — რაღა რა არი, ჩემი ხელით უნდა დავბანო მაინცდამაინც მაგისი ძაღლი? ნდობა აღარ უნდა იყოს?!
 ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.
 — დაბანილი ყავს. მე დავბანე ჩემი ხელით.
 — კაი რა, იოსებ, კაი რა! ორი დღე ხო არაა, რაც ერთმანეთს ვიცნობთ? ჩემზე შინაურია ეგ სომეხი?
 — ჩემი ხელით დავბანე-თქო, ძმაო, გაუგებარი რა არი?
 — შენი კაკო იყო ჩემთან.
 — მერე?

— რა მერე?
 — რა მერე და თვიური ნაუსვეს იმის ძაღლსო, რო შენმა აღარ იჩხუბოსო, მითხრა.
 იოსებას სახე შეეცვალა, ყველა დანარჩენის სახე წარმოიდგინა.
 — კაკო რაღაცას იბჭუტურებს... ხო იცი, იმბეცილია, მაგის ინვალიდი დედას შეეცვი!
 — ატრაკებ, იოსებ, ძმაო. ვილაცა ლოხი ხო არა ვარ, ჩემი ძაღლის ხო ვიცი? რო არ იჩხუბებდა რა, ვერ მიხვებოდით?
 — აგე, მოდის ტარასა! — ვილაცამ შავი გოლფისკენ გაიშვირა ხელი.
 გოლფი სწრაფად შემოვარდა უბანში, ბიჭების ფეხებთან დაამუხრუჭა და მძლოლი უფრო ადრე გადმოხტა სალონიდან, თუ მანქანა უფრო ადრე გაჩერდა, ძნელი გამოსაცნობი იყო.
 — დამენძრა, მაგრად დამენძრა!
 როგორც კი ტარასამ გიგუშას სახეზე შეხედა, ის მომზადებული ტექსტი, რაც უნდა ეთქვა, გადაავიწყდა.
 — რა მოხდა? — პირველმა იოსებამ ჰკითხა.
 — ჩემმა ძაღლმა მასტერა დაბრიადა.
 — როგორ, ტო?
 — რავი, ეზოში ება და ჩამოიარა მასტერამ, დედალი ეგონა ეტყობა, რა. აი, ის ხო ესეა რა, — გიგუშას გადახედა, გიგუშამ იოსებას, იოსებამ არავის! — არ შეიმჩნია არაფერი.
 — მერე?
 — რაღა მერე? მივიდა მასტერა, მიაჯდა და ამან დაახრჩო.
 — აუ, დაგენძრა! — წამოსცდა რომელიღაცას და ყველამ იმ რომელიღაცას შეხედა.
 — მასტერა ვინლა არის? — იკითხა გიგუშამ.
 იოსებამ წამით გახედა გიგუშას და მერე ისევ ტარასას.
 — მე ავალ ნუგოსთან და ავუსხსნი. ძაღლები არიან, რა, შემთხვევაა და მოხდა, შენ რა შუაში ხარ?
 ტარასამ სიგარეტს მოუკიდა, საბურავზე ფეხი შედგა და თასმა შეიკრა.
 — ხისთავიანია, მაგას რამეც გააგებინებ?
 — გააგებინებ რა, მოხდა რა, დონ-ჟუანი ძაღლი ყავს და ნი ნა ტავო ნაპალ! — გაცინება სცადა იოსებამ და მანქანის კარი გამოაღო. — წამო, აბა, წავიდეთ!

* * *

წუგო ზარმა გამოაფხიზლა, ტელევიზორი ჩართული დარჩენოდა. ეკრანზე ფატი და მისი შვილიშვილი დაინახა. წუხანდელი ღამე გაახსენდა და ხასიათი გაუფუჭდა.
 ხელმეორედ გაისმა ზარი.
 ნუგომ ხმას აუწია.
 — ჩემი შვილიშვილის მეგობარი იყო. ცოტა ავადმყოფი ბავშვი კია, მაგრამ... არ ვიცი, მეტი არაფერი ვიცი. სახურავიდან ვინ გადმოაგდებდა... არ ვიცი...
 ჟურნალისტი: შეგახსენებთ, რომ უბედური შემთხვევა მოხდა დიღმის მასივის მესამე...
 გაბმული ზარი გაისმა.
 — აუ, ამას მოვუტყნავ ეხა გამზრდელს, არ შემცა, ტო! — წამოხტა ნუგო.
 ...თერთმეტი წლის კაკო ჯიმშიტაშვილმა, რომელიც, სავარაუდოდ, გონებრივად ჩამორჩენილი უნდა ყოფილიყო... გამოძიებას ანარმოებს...
 ნუგომ კარი გააღო.
 — გაუმარჯოს ნუგოს! — იოსებამ ხელი გაუნოდა ჩამოსართმევად.

პარიაციები თემაზე: „ახალგაზრდა ქალის ვნებანი“

ვარიაცია 1

კაკა

პინ დაადგინა, რომ მუზა ქალია? ეს იმ მწერლების მონაჩმახია, საკუთარ სქესს შარვლით რომ მალავენ.
 მუზა კაცია, შეიძლება უბრალო, შეიძლება ძალიან გამორჩეული, მაგრამ მაინც კაცი, ვინაც მოდის და გიჟყრობს, რადგან მუზას მოცემა ეხერხება, მოცემა კი კაცური ნიჭია.
 მძულს ეს შეფარული ჰომოსექსუალები, კალამს რომ იჭერენ ხელში და თავი კაცები გონითა, სინამდვილეში კი ამ ჩვენს საერთო საყვარელთან, მუზასთან ფლირტობენ და ღამეებს ათევენ. ის კი ყველაზე თავდაჯერებული საყვარელივით უნებარ-

თოდ გსტუმრობს და როდის მიდის, ვერც კი იგებ.
 ჩემმა ქმარმა ლოკვის მეტი არაფერი იცის. ხან მსურს შევაჩერო ხოლმე, მაგრამ სხეული არ მიშვებს. რაღაცნაირი დაბნეულია. სულ თავის უფროსზე მელაპარაკება და მლოკავს, მელაპარაკება და მლოკავს. იმ უფროსზე, მეჯლისზე ხელებს რომ მიფათურებდა.
 შენი ტრუსიკის ფერი მანახეო, ჩამაჯინდა. ეს, ჩემი კი, უკვე გადამთვრალი იყო და ყველა იქ მყოფი უყვარდა.
 რატომ დამებედა ასეთი კაცები? მამაჩემიც ასეთი იყო — ცოლის ნებართვის გარეშე ლორსაც კი ვერ მოუჭრიდა საკუთარ ძმას.

მე მამას ვგავარ და მე უნდა ვიყო ძლიერი!
 ქმარი კი მლოკავს და მლოკავს, თითქოს რაღაცა ტკივილს მიჩვენებს სულში. იქნებ მართლა რაღაც მტკიავს? ისეთი რამე მტკიავს, რაც თავად არ ვიცი?
 ჩემს გამომცემელს არ მოსწონს, რომ დავსერიოზულდი. შენი ქალური ხელი მოაკლდა შენს წიგნებსო, ვითომ კაცური ხელი რამეს ქმნიდეს. როგორ დავაჯერო ყველა ეს ლიტერატორუკები, რომ კაცები არაფერს წერენ და თუ წერენ, ისინიც ქალები არიან, ზოგი ღია და ზოგიც ფარული ქალები.
 ვიცნობდი ერთ მწერალ კაცს. ჩემი საყვარელი იყო და ერთნაირად მწოვდა აზ-

რებსაც და სხეულის დაბოლოებებსაც. ის უფრო ხშირად ტიროდა, ვიდრე მე და მე უფრო ნაკლებ მიცნობდნენ, ვიდრე მას. ის რომელიღაც გაერთიანების წევრი იყო. კაცებს ეგეთი „გაერთიანებები“ ძალას მატებს, ჯოგური პრინციპი ხომ უცხო არაა მათთვის?
 ღამით წელს ქვემოთ მეფერებოდა, დილით კი თავის მეგობრებთან ტრაბახობდა, თუ როგორ მამცირებს.
 მინდა ვიყო ორსულად.
 მინდა ნელ-ნელა და დილითდღე მეზრდებოდეს მუცელი და ვიმატებდე წონაში ისე, რომ არ ვსუქდებოდე.

დასასრული მე-7 გვერდზე

თამარ ერისთავი

ვინ არის ის კაცი?

ვინ არის ის კაცი,
ფეხზე რომ აბია
ნისქვილის დოლაბი,
და მაინც რომ ილტვის
ამ აბობოქრებულ
მდინარის ბორნამდი?!

ირყევა ბორანი
და გზანი შორანი
ღვთისაკენ მიდიან,
სადაც წუთისოფლის
და მიღმა სამყაროს
გამყოფი ხილია;

თავგადადებული
ილტვის და იჩქარის,
ვიდრე გაიღება
გზის შუქით ცისკარი.

ხელთ ჯვარი უპყრია
ემათა სარბევად,
ემათა თავზარად,
უფალს და კაცს შუა
იგი სათნოების
თავდებად ჩამდგარა;

მტერი ჰყავს ცბიერი
და მახის დამგები,
მაგრამ ღმერთს ენდობა,
ცად ხელაპყრობილი
მუხლს იყრის მზის ქვეშ და
უფალს სთხოვს შენდობას.

სამყაროს ბრუნვაში თავგამეტებული
ნებისად ჩართულა,
და ცას შეჰლაღადებს წინაპართ ადართით,
ლოცულობს ქართულად.

ნანატრი მშვიდობა
დროის წელთასვლაში
ღვთისგან თუ გვეღირსა,
აღბათ გაიბრწყინებს
ზეცაში ვარსკვლავი
ივერთა ბედისა.

ვინ არის ის კაცი,
ფეხზე რომ აბია
ნისქვილის დოლაბი,
და მაინც რომ ილტვის
ამ აბობოქრებულ
მდინარის ბორნამდი?!

იქნებ ააღნიოს
მდინარის სათავეს
ჯიქური აღმასვლით,
იქნებ აიაროს
მწვერვალის თავამდე
ციცაბო აღმართით?

ამაღლდეს მწვერვალზე
თავისუფალი და
წელში გამართული,
და ზეცას ღალადჰყოს
მეუფის დიდება
და ჯვარი ქართული

ზეცამდე აღმართოს,
და თქვას: - ივერიის
ცა არის მზიანი,
არ ქუხს და
აღარ თოვს.

დღეგრძელ იყოს საქართველო

ეკლესიის ჩუქურთმები
ჩამომლილი მინამდე,
გადაწმინდე, მოილოცე,
ხატის მადლით ინადე!

მზე ენთება, იბრიალებს
შუადღეთა ციაგზე,
დროგადასულ სარკოფაგებს
სიმხურვალეს მიაგზნებს;

დაინთება მზის ქვეშ ცეცხლი
ვით იესოს ლამპარი,
ამოყვინთავს შორეთიდან
გენი იმ წინაპარის,

ვისაც ერქვა გიორგი და
ერეკლე და დავითი,
იმ ძველ დროთა მატთანე
ხელმოცარულთ არ ითვლის;



ვინც ღირსია რუსთაველის
პოემაში გართმვის,
ის მქუხარე სახელები
ხმის ჩურჩულით არ ითქმის.

მათ ხომ წელზე ხმალი ერტყათ
უფლის მჭედლის ნალესი,
მათ ხომ მკერდში გული ედგათ
მზეზე უმხურვალესი;

ცას რომ ცეცხლი გადუვლიდა
გრგვინვით, ელვა-ჭექურად,
მათ ხომ ცეცხლში გამომდნარი
მუზარადი ეხურათ;

მათ ხომ სისხლით გადაღებეს
ველი დიდგორ-კრწანისის,
ზაფხულობით ქართლის მიწა
წითელ პერანგს არ იცვლის -

ყაყაჩათა სისხლის ღვარი
მინით ამონადენი,
საქართველოს მღვრიე ცაზე
ბევრ შავ ღრუბელს განდევნის;

სისხლის ღვარი, ქართულ მიწის
ყვავილებად ქცეული -
გოლგოთა და ამალღება
ჯვარზე ქრისტეს სხეულის...

დღეგრძელ იყოს საქართველო,
მარიამის რჩეული,
ქართლის მიწა - ღვთისმშობლის
ცისკენ პირმიქცეული.

იშრიალას ხე ვერხვისა

კიდევ მოვა გაზაფხული,
თუნდაც ერთხელ,
თუნდაც ერთხელ,
და შეურხევს ქარი ტოტებს
უფლისციხის მაღალ ვერხვებს,

ქარი, ციდან მოფრენილი,
მზეს ღრუბლებში მაინც
ვერ ხვევს,
და ზეციდან ნათლის შუქი
დასთამაშებს კლდეთა ეხებს.

გარს ევლება უფლის ციხეს
ლოცვა მთის და ლოცვა ბარის,
ვერხვის ჩრდილში გარინდდება
წუთისოფლის გზათა მგზავრი...

იშრიალებს ხე ვერხვისა
და ააფრენს ცაში ჩიტებს,
დალოცვილი ქართლის ზეცა
რამდენ ჩიტის ჭიკჭიკს იტევს!

ციცინათელა

ლამემ მთის წვერზე მწვანე მოლი
ცვარით ასველა,
ცას ვარსკვლავები შეუსია
უქრობ ნათელად,

აქ კი, მინაზე გამოგზავნა
ციცქნა ნათებად,
ვარსკვლავის სხივი -
სულ პანია ციცინათელა...

დაფარვატებენ შავ ღამეში
ცეცხლის ციალად,
აქვე, ჩემ თვალწინ
მთელმა გუნდმა გაიცქრიალა;

დალოცვილია მათი ფრენით
თვე ივანობის,
გაიეღებენ და ღამეში
ვარსკვლავების შუქი ჩამოდის;

იმათი ბრწყინვა ღამის ბინდში
ოცნებებს მისევს -
ციცინათელას მადეგარი
ბავშვი ვარ ისევ;

და იმ სოფლადაც თან წამყვება
უქრობ ნათელად,
დიდგორის მთაზე მოციმციმე
ციცინათელა.

გია აგესაძის ხსოვნას

როდესაც ქვეყანა
უკუნეთ ღამეში
ძირს ეგდო პირალმა,
ვინ, იყო ის კაცი,
ცაში რომ აიჭრა,
აენთო ჩირაღდნად?!

ეს თავგამეტება
და ცეცხლით განწმენდა
ძლიერთა ხვედრია,
ცეცხლით უქარვებენ
უსაზღვრო სიმძიმის
ქვეყანას სევდიანს.

დაინვას სხეული
სამშობლოს ზვარაკად -
იმძლავროს მძლეველზე,
რომ სული აღზევდეს
მარადის უქრობი -
ცის საკურთხეველზე.

მეოცნება ლერწმის ღარი

მე ვარ ლერწამი -
ტაბანყურის ნაპირზე მდგარი,
ჩამომიქროლებს სამსარიდან
ფრთამაღი ქარი,

და გადამინვენს მინისაკენ
სულ ერთი წამით
გავილუმპები დაცვარული
ციური წამით,

და მშობელ მიწას
ჩვილ ბავშვივით ჩავეკონები,
ქარის მუქარას არ ვუფრთხი და
არ ვემონები...

მოდი, მომჭერი, აამღერე
ეს სალამური,
და დაარხიე ლერწმოვანში
ხმა საამური,

მე ვარ მთრთოლვარე, მეოცნებე
ლერწამის ღერი,
და ტაბანყურის ყვავილოვან
ნაპირზე ვმღერი,

მუზა მყავს შემწედ,
ქარის ჯიბრზე მაქეზებს იგი,
მთვარე დამინაავს ოქროს შუქით
სხივების გვირგვინს;

მე ვარ ლერწამი, სულიერი,
ხმატკბილი ეგზომ,
აქ ტაბანყურთან მოვინათლე -
ლექსებს რომ ვეძმო,
და ამ მინაზე ჰოეზიის
ცეცხლად რომ ვეგზნო.

მთვარე ჭაში და მთვარე ცაზე

(ბავშვური ფანტაზია)

ვხედავ ონინარს, წეროსავით
ზეცაში აჭრილს,
ვედრო ჰკიდია საიმედოდ
მიბმული ჯაჭვით,
და ჭის სიღრმეში მთვარე მოჩანს
როგორც დაირა,
მინდა დავუკრა დაირაზე
რამენაირად,
მაგრამ ვერ წვდება ხელი ჭაში
ჩაძირულ მთვარეს,
და ვიყურები ზეცისაკენ
სულ მაღლა მხარეს.

და არის მთვარე ზეცაშიაც
მიუწვდომელი,
ნეტავ ნამდვილი რომელია,
ნეტავ რომელი?

თვალი მატყუებს, თუ აქ მართლა
მთვარეა ორი,
ერთი ახლოა, მეორე კი -
ძალიან შორი...

მე მთვარე ცაში უფრო მომწონს,
რაც მართალია,
იქნება მთვარემ ამ ჩვენს ჭაში
წყალიც დალია...
და ახლა იგი ამ ჭის
მკვიდრი დედოფალია.

.....
იცი, რა გითხრა? მთვარეები
თეთრი ღრუბლის სარეცლიდან
როცა დგებიან
და ოქროს დაღალს ივარცხნიან
ოქროს სავარცხლით,
აღბათ ჩვენი ჭის სარკეებში
პირმცინარნი იხედებიან,
და იდუმალი სიღვარით
რა ოცნებებს აღვიძებენ
კაცის გულში,
ვერც კი ხვდებიან.

მას ხომ ივარისი აქვს აზის

ამოდის ოსმალეთს
 ლენცოფა ბალახი...
 რა ძნელი გზები გვაქვს
 ჩვენ გადასალახი;

ქრისტეს ხატს ქიშპს უწევს
 იქ კერპი ალახის,
 ო, მე ეს ქვეყანა
 არ მქონდა ნანახი...

შემოგეფეთება წინ გზაზე
 მეჩეთი
 და თუ ამ მეჩეთთან
 წამითაც შეჩერდი,

უმალ გაიგონებ
 უცხო ქადაგებას,
 მისი მოსმენისას
 ენა არ დაგებას,

ცრემლი არ მოგადგეს
 თვალზე აჩქარებით,
 აქ არ გაქვს შენ ნება
 ქრისტეს აღსარების!

და მაინც ზეცისკენ
 გამიბრის თვალი,
 ზეცის სიციხურით ვარ
 უგონოდ მთვრალი,

ეს ჩემი სამშობლოს
 ლარჯვარდი ცა არის
 ჩემი მზის ტახტია
 და ჩემი ცის მთვარის,

აქ წყალი ჩამოდის,
 ჭოროხი ჰქვია,
 თვალით ვეფერები
 ნაპირებს ქვიანს,

და ვხედავ წარწერას
 კედელზე ტაძრის,
 ეს ხომ ქრისტიანთა
 სიღრმეა აზრის;

და გული მევსება
 ალერსით ნაზით -
 კედელზე ასულა
 ლერწები ვაზის,

და ქართულ ჩუქურთმის
 ხვეული ხაზი
 სარკმელს ეკლესიის
 მტრედით აზის;

ეს ასომთავრული
 ქართული გენის
 ტაძრის აღნაგობას
 რარიგად შევენის,

აქ ჩამოხსნილია
 ხატი და ჯვარი
 და ტაძრის კედლის
 ყოველი ბზარი

გულს ცეცხლად ედება.
 ცაში მიფრინავენ
 ფრთათეთრი ღრუბლები
 გადამფრენ ვედებად...

ჩამონგრეულია
 სარკმელთა კამარა,
 და დგას ეკლესია
 ქვის - პერანგს - ამარა;

ოსტატის მარჯვენას
 რა ძალა დალიდა,
 ჩუქურთმა ოსტატს თუ
 ჩასძახის მაღლიდან

მოსაპირკეთებლად
 თორმეტი სარკმელის...
 სულ გაქრა ტაძარში
 სურნელი საკმევის?

და მაინც არ მტოვებს
 ავბედი განცდა -
 ზეცისკენ ილტვიან
 ოშკი და ხანძთა,

სისხლის ამჭრელი და
 ჟრჟოლის მომგვრელია,
 ისინი ქართველთა
 ლოცვას რომ ელიან,

ცას რომ შეჰყურებენ
 მზიანს და მთვარიანს
 და ქართულ გალობის
 ნატრულნი არიან.

როდემდე ვუყუროთ
 მოხატულ მეჩეთს,
 ნუთუ ჩვენი ლოცვა
 მას უნდა შერჩეს -

ლოცვა ასწლეულთა
 სისხლ-ძარღვში ჩართული,
 ლოცვა ამ კედლების -
 ცამდე აღმართულის;

ნუთუ ჩაიქცევა
 ხანძთა და შატბერდი,
 ნუთუ, საქართველოვ,
 შენ ისე დაბერდი,

რომ ცას შეატოვებ
 ამდენ ეკლესიას,
 ლოცვით არ მოუხმობ
 მათ მხსნელად მესიას?!



არ ყოფილა ადვილი
 ქალბატონი სიღარიბე
 ორი ბიჯის მანძილით,
 ქართლის გზაზე მიმავალი
 შემეფეთა ამ დილით;

შეეხედე და შევიცხადე -
 არ მეგონა ნამდვილი,
 მისმა ცრემლმა გამიქარწყლა
 ქართველობით ქადილი.

ხელს იწვდიდა სამონყალოდ,
 ლუკმა პურის ნადილი,
 და თან სახეს იფარავდა
 გაცრეცილი მანდილით;

ეტყობოდა, არ ჰყოლიათ
 ამ ხვედრისთვის აღზრდილი -
 სამშობლოში მათხოვრობა
 არ ყოფილა ადვილი...

მზის ამოსვლის საოცრება
 ეს მხატვრობა ცის და მიწის -
 უფლის ფუნჯის მონასმებით,
 კავკასიის მწვერვალები,
 გუმბათები მონასტრების,

გაზაფხულის მწვანე მოღზე
 აღმასივით დილის ცვარი,
 ზევით, ზეცის სიღრმეში
 ელვარება ბადრი მთვარის,

მზის ამოსვლის საოცრება,
 ვით სამყაროს ნატვრის თვალის,
 ლერწმის ქარში შრიალი და
 ყაყაჩოთა ნაღვერდალი;

ბულბულების გალობა თუ,
 მერცხლის გუნდის ცად კამარა,
 ამისთვის რომ დაიბადო
 ამ მიწაზე, ისიც კმარა,

თორემ შორი ვარსკვლავების
 მომწყვეტელი ცად ვინ არი,
 იქნებ სწორედ ზეცაშია
 დრო ლეთაში ჩამდინარი?!



მურად ნებიერიძე

ბიჭი
 შეიფრთხილა და წამოზიდა სივრცე,
 მიენდო
 ჩიტი ფრენით
 თავისუფლებას...

რა იცის ბავშვმა,
 რომ სიყვარული დიდებისათვის
 ნიშნავს სიფრთხილეს...

მიფრენდა ჩიტი,
 ვეება ღრუბლებს პანანკინტელა
 ფრთებს ახატავდა...

ტიროდა,
 ბიჭის ცრემლების სხივში
 ძლივს შევიცანი ჩემი წარსული
 და უნებურად
 გამექცა თვალი
 დაისის კართან ატუზულ მზისკენ...

მამავ
 ისე უეცრად გამინაწყენდი,
 როგორც შხაპუნა წვიმამ დააფრთხო
 ფრინველები —
 დაცხრა გნიასი...

ჩემს უნებურად გაგიბედე
 და ისიც ერთხელ: რალაც მეტი ვიცითქო,
 გითხარ,
 და შენ აფეთქდი
 უფლებაყრილ წინამძღოლივით...

საყოველთაო მრისხანების დუმილს
 გაჰქონდა ჩუმი წკარუნი —
 წვიმდა...

მანქანა —
 ცისფერ აკვარიუმში,
 ვისხედით სამნი...

ძმა დუმდა, —
 ახსოვს,
 ყოველთვის ახსოვს,
 რომ წლოვანებით არის მესამე
 და ღირსეულად,
 თან გულგრილად უჭირავს თავი...

დაიწყო დიდი გადასახლება,
 კარს მოგვდგომია თაობათა ცვლა
 და ვწუხვარ,
 ან კი როგორ ვიტვირთო
 რწმენა,
 რომელიც ატარე უხმოდ —
 დაუნანებლად შეალიე შვილების სურვილს
 ცხოვრება შენი —
 შაგრენის ტყავი...

უანასკნელი თავშესაფარი
მარის

თუ შეგიძლია,
 თოჯინები დაამშვიდო დედაშვილობით,
 მეც მანუგეშე და დამიყვავე...

მე შენ დედობას ღიმილმოგვრილი
 ვუცქერ,
 შვილობას ნატრული მამა —
 მომეფერე, გეჩურობები...

ვიცი,
 დიდხანს აღარ შემრჩება,
 ცხოვრებაზე რქებით მიწოლა,
 წონილი,
 აყალმყალი —
 დაფეთებულა კარდიოგრამა...

მითხარ,
 რომ არ ვარ მსხვერპლი
 სხვისი მერყეობის
 და შენი განსჯის...

თუ შეგიძლია,
 თოჯინები დაამშვიდო დედაშვილობით,
 მეც მანუგეშე და დამარწმუნე,
 რომ გიყვარვარ,
 ისე უზომოდ და დაუნდობლად,
 რომ მოფერებით შეგიძლია
 დაახრჩო მამა —

მომეფერე, გეჩურობები...

ილიკო — „ჟიკუიკობას“ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დამდეგ ღამეს ეძახიან აქაურები. საფლავებზე გადიოდნენ ამ დროს, თურმე, და ყველა რომ სანთლებს დაუნთებდა თავის მიცვალებულს და აჟიკუიკდებოდნენ ის სანთლები, ქალაქი გეგონებოდა მთელი სასაფლაოო... ქალაქი, სადაც ერთად იყვნენ ცოცხლები და მკვდრები... (პაუზა). ჰოდა, მეც ჟიკუიკობა ღამის ლაპარაკი მესმის, ჟიკუიკობა ღამისა...

ოლა — ადე, ილავე... (პაუზა) ილავე, ადე მეთქი, კაცო... (პაუზა) ილავე, დაგაყრუა გამჩენმა... (პაუზა) ვაი, ილა შენა და, დიდი ჭირი!...

ოლა — ჰა, რა იყო, ქალო?
ოლა — სიკვდილი და არგადარჩენა იყო!

ოლა — რამთვენიც თვითმფრინავი გადიფრენს, განა ყველა ჩვენ დასაბოშად მოდის, სამგზავროებია ეგენი, კაცო... რამ შავაშინა ეგრე?

ოლა — ადე, კაცო, სხვას ვამბობ, სულ სხვასა...

ოლა — შენ, რა ვქნა, არ ვიცი, და ცოტა... (პაუზა) ცოტა ხო არ აურიე?!
ოლა — ადე, აეთერი მეთქი, კაცო...

ოლა — რათ უნდა ავდეგე?
ოლა — აგი, ნახე, ვინ მოვიდა...

ოლა — ვინა?
ოლა — ადექი და გაიგებ...

ოლა — ადექი რა, ძალია? აემ ჩვენ სასანთელესა აგურები დასძვრა და ძირსა ყრია... აქაურობა სუ აბალახებულისა და... რალაზე უნდა ავდეგე?..

ოლა — მოვიდა მეთქი...
ოლა — მოვიდა, თორემა თვალი არ გამოსთხაროს სოფელსა...

ოლა — ეჰ, ილავე, როგორ ტყუილად აჩხარუნებ ემაგ ძვლებსა...

ოლა — ეგრე უნდა...
ოლა — იიიჰ...

ოლა — მე აქ ჭიებისთვინ ბევრი ხორცი არ ჩამამიტანია და ადვილადაც იმისთვინ ვაჩხაკუნებ ფანდურსავითა... (პაუზა) თოქმ! (შენიშვნა: გაკვირვების გამომხატველი სიტყვა არჩანდულად)

ოლა — რა, თოქმ? შენც გიკვირს, არა?
ოლა — მართლა მოსულა ესა...

ოლა — მართლა, აბა, ტყუილათა? ვენაცვალე, აგურებიც გაუსწორებია და სანთლებს გვიტობს...

ოლა — ქალო, ოლავე, რომელია ესა?
ოლა — ვითომ ვერა სცნობ, არა?
ოლა — კახა არ არი ესა და არც გურიკოა... ლევანო არი?
ოლა — როგორ თუ ლევანო, ილავე, და გურიკო კიდე ხო პატარაა...

ოლა — ჩემი სეხნია არი ესა, შალიკოსი...
ოლა — ილიკოა, ჰო... მაგას ენაცვალოს ბებო...

ოლა — და ესა, მეორე?
ოლა — მაგისი ცოლია, მაიკო.

ოლა — და ისა? სუ იქითა?
ოლა — ვარაზაულია, კაცო... შალიკოს ცოლი... ჩემი რძლები — ქვარიაული, სვანიაური, ვარაზაული ვერაფერსაც ვერ დამაკლებენ მეთქი... აკი ვამბობდნი...

ოლა — ევე, ოლავე, ოლავე... ყველასა სუ „ურ“-ებად უნდა გადაუქეთო გვარები, თორენა ერთი რძალი ქვარიაიანი გვეყავდა, მერე სვანიძეა და ეს კიდევა — ვარაზაშვილია, ვარაზაშვილი, ვარაზაული კი არა...
ოლა — არიან და, იყვნენ... მაინც ვერ დამაკლებდნენ ვერაფერსა...

ოლა — რა უნდა დაეკლოთ, რო? თან ქვარიაულიც აღარ არი...
ოლა — ჰო, ივანესი... და ილავე, რო დეველაპარაკო აემ ჩვენ ბიჭსა, გავაგებინებ, ნეტავი, რამესა?

ოლა — მე რავე, აბა?
ოლა — ჟიკუიკობა ღამე არი მაინცა და...

ოლა — ჟიკუიკობა ღამე, თორენა... შენც ესლა წითელი კვერცხები და პასკები არ დაჰყლაპო ერთბაშადა.

ოლა — ვაი, ცხელი ტყვია მოიჭხედეს, ვისაც მარტო ჭამა-ყლაპვა უყვარს... ჩემისთანა მშრომელი ვინ იყო ამ სოფელში?
ოლა — არავინ...
ოლა — გავიტანდი ერთ რიგსა თოხითა და შემოვუბრუნდებოდი მეორესა, გამოვიტანდი მეორესა და გავუყუებოდი მესამესა... კი არ ვისვენებდი სხვებითა...

ოლა — და პურის ჩაკერა? პურის ჩაკერა როგორი იცოდი — ცალი ხელითა!

მიხო მოსულიშვილი



მონანილოკან:
ოლა — გარდაცვლილი ბაბია.
ოლა — გარდაცვლილი პაპა.
ილიკო — ჯრი ცოცხალი შვილიშვილი.

**მოქმედების ადგილი — არჩანდის სასაფლაო.
მოქმედების დრო — 2009 წლის აღდგომის ღამე.**

დეკორაცია — სტრის, სტრის, სულ წვრილად სტრის არჩანდის სასაფლაოზე და თან ნისლია, ავად ჩამუქავული ნისლი.

ოლა — ჰო, ერთი ხელით თონის კედელს ვეჭიდებოდი, შიგ არ ჩავვარდე და არ ჩავინვა მეთქი.
ოლა — რათ უნდა გადაივარდნილიყავ, მე სადლა ვიყავე?

ოლა — შენა? სუ ქალებში დაიპარებოდი და იმიზეზებდი ვენახსა, სათიბსა და საქონელსა...
ოლა — მე ვიმიზეზებდი?
ოლა — შენა, მა მე?
ოლა — შენ, რა ვქნა, არ ვიცი, და ცოტა...

ოლა — ჰაი, შე სავათო და სარსარაკო შენა!

ოლა — მეძახე, მეძახე სავათა და... ეგე, ვის გამოემგვანა ეს ჩემი შვილიშვილი...

ოლა — ვისა და, მე. ჩემსავით გასთერებია თმა, ბებო ენაცვალოს.
ოლა — შენ კი არა, მე დამემგვანა.
ოლა — ჩემ ჯიშევა წამოსული, ფხოვლიდანა ვართ ჩვენა ჩამოსულები, ფხოვლიდანა... სუ თეთრები და ლურჯთვალეები.
ოლა — მემრე, როდის არი ეგა თეთრი და ლურჯთვალა? შავგერემანი და შავთვალეება.

ოლა — თავადობას რო მოჰყვეხს დედამავისი, აო, მაგ ვარაზანთ ქალმა შეცვალა ცოტახე. მაგრამ პირისახე?
ოლა — რა?
ოლა — რა და, პირისახე ჩვენი აქვს, ფხოვლებისა და ქვისნატეხა ხასიათი კიდევა — სუ ჩვენი.

ოლა — მოვიდეს, ეს მაინც მოვიდეს, ივანესები არ მოდიან აქა, კაკოსები და სანდროსები ხო სუ გადაკარგულ-გადმოკარგულები არიან... ამერიკაშია...
ოლა — შალიკო და სანდრო თუ აქ არიან, ხო ყოველდღე აქ გვისხედან.

ოლა — ჰო, არ ინუხებენ თავსა.
ოლა — მაგიტო ჩამოიქცა სასანთლე აგურები. და აბალახა აქაურობა... (პაუზა) ილავე!
ოლა — რა იყო, ოლავე?
ოლა — ე ბიჭ რო დაველაპარაკო, გაიგებს ნეტა?
ოლა — აურიე, შენა, ოლავე? აბა, როგორ უნდა გაიგოს?
ოლა — ჟიკუიკობა ღამე არი და, უნდა გაიგოს.
ოლა — ამ ჟიკუიკობა ღამესა აემ სასაფლაოზე იმდენი სანთელი ინთებოდა, იმ-

დენი, რო... სუ ერთად იყვნენ ხოლმე ცოცხლები და მკვდრები... მაშინ ესმოდათ ერთიმეორისა და აბა, ესლა გაიხედე, ერთი-ორგან ბჟუტავს სანთელი. მარტო ჩვენ გვინთია და ქვეით კიდე დევიანთა...
ოლა — დევიანთა კი არა, წყლიგოფიანებს უნთიათ... დე იმითვინ ვერ გამოვიდა ხალხი, ნისლი რო არი და რო ნვიმს...
ოლა — ჰო, წვრილათა სტრის, წვრილათა... მაგრამა მარტო ამინდის ბრალია ვითომ?
ოლა — აღარც ყველასა სჯერა ჟიკუიკობისა და ესეც არი...
ოლა — ჰოდა, მეც მანდა ვარ, ოლავე, მანდა...
ოლა — ილიკო, შვილო, ნადი შინა, ნადი და ნაიყვა ესენიცა, თორენა დასველებით სულა...
ოლა — უთხარი, უთხარი, ძაან არ გაიგონოს... (პაუზა). და გინდა გაიგოს, დაგიჯერებს? არ იცი, როგორი თავისჭკვისა არი?
ოლა — მაგას შემოველოს თავისი ოლა ბებო... შვიდი,რა შვიდი,ცხრა თუ ათი ნიგნი აქვს დანერილი უკვე...
ოლა — ჰოდა, ჩემი ნიჭი გამოჰყვა და იმიტომა სწერამს იმ ნიგნებსა.
ოლა — რომელი შენი ნიჭი, რომელი?
ოლა — აბა, მა ვილასი?
ოლა — შენა ბულალტერ-მოანგარიშე იყავ კოლეტიგეში და მარტო ივანე გამომგვანე და იმყოფინე ისა!.. განა ის კი ნაკლებია? პროფესორი კაცი გამოგვივიდა, ფიზიკის პროფესორი... და მთელი თქვენი გვარი რო ერთად დასჯარდეთ, ამბების მოყოლაში ვერ შეგვედრებით ჩვენა, ჩომახანებსა...
ოლა — როგორ თუ ვერ შეგედრებით, რეებს იძახი შენა, დედაკაცო, რეებსა!
ოლა — რეებსა და — სუ სიმართლეებსა! სუ პიტალო სიმართლეებსა!
ოლა — ვინა ხართ ეს ფხოველები ეგეთები, კაცო...
ოლა — ვინა ვართ და, ისინი ვართ, ვინც მეფე ერეკლეზე უწინ აგვეყრეს მთიანა და დაგვასახლეს ფხოველშია და ზიარშია, ლაკის ხეობის ტყეებშია... თეთრები და ლურჯთვალეები... მოლექსეები და მომყოლები ვიყავით და ვართ ჩვენა... ჩვენნარი ამბის მომყოლი არავინ იყო ამ არე-მარეზე. ჰოდა, ეს ბიჭიც ხო ამბებსა

ჰყვება იმ თავის ნიგნებში...

ოლა — თეთრები და ლურჯთვალეები და... ლურჯთვალასი რა მოგახსენო, მაგრამ გათეთრებულა სულა... ნეტავ, რამთვენი წლისა არი ესლა?

ოლა — დაიცა, ესლავე გეტყვი... კახა ხო პირველი შვილიშვილია და ის არი ამაზე უფროსი ერთი წლითა... (პაუზა) ეგ როდის დაიბადა, იცი?
ოლა — რავი, გადამვარდა ჭკვიდამა...
ოლა — გალმა ვენახი რო ჩავყარეთ და კახას მსხალი რო დარგო შალიკომა, მაშინა ხო კახა გაჩნდა...
ოლა — გალმა ვენახი ხო სამოცდაერთში ჩავყარეთ, კაცო...
ოლა — ჰოდა, მაშინ დაიბადა კახაცა. და რამთვენისა გამოდის ესლა?
ოლა — ორმოცდარვისა.
ოლა — ჰოდა, კახა პირველ დეკემბერს უნდა გახდეს ორმოცდარვისა.
ოლა — და ესა? ილიკო?
ოლა — და ეს ილიკო კიდე კახას დაბადებიდანა ერთი წლის თავზე არი დაბადებული, ბიძამისი კაკო რო ჩამოვიდა ჯარიდანა და მთელი იმ თავისი სამსახურის ჯამაგირით ოთხი საბურავი რო ეყიდნა ავტომანქანისა... აი, მაშინ...
ოლა — რამთვენი წელი ენყო ის საბურავები ზევითა ოთახში, კაცო, და ველარა ჰყიდდა...
ოლა — ჰო, ველარა...
ოლა — და მაშინ ეს ილიკო ყოფილა ორმოცდაშვიდისა...
ოლა — ჰო, ოლა ბებო ენაცვალოს ამასა, შვიდ დეკემბერს უნდა გახდეს ორმოცდაშვიდისა...
ოლა — და ადრე არ არი?
ოლა — რა, ილავე?
ოლა — აემ ჩემი სეხნიის აეგრე სუ გათეთრება?
ოლა — ამას შემოველოს თავისი ოლა ბებო, ამასა! ფიქრმა გაათეთრა, ფიქრმა... ეგე როგორი დაფიქრებული სდგას ამ ცრიატში. ვერა ჰხედამ?
ოლა — ვხედამ, ოლა, ვხედამ...
ოლა — ჰოდა, ნავა ესლა შინა და დასწერამს ჩვენზედა.
ოლა — რას დასწერამს?
ოლა — რასაცა ვლაპარაკობ ჩვენა აქა... შენა გგონია, მართლა არ ესმის?
ოლა — ნადი, შვილო, ნადი შინა, კაცო... ე რა ამიღე, ე რა არი?
ოლა — გაჩხაკუნა და გაგვანათა...
ოლა — რა არი ეგა?
ოლა — ესა რალაცა ის არი სურათის გადასაღებადა... ეგე, როგორ დაღის და დაჩხაკუნებს.
ოლა — ჩვენ გვიღებს სურათსა, კაცო, და როგორ უნდა გამოვიჩნდეთ, რომ არა ვჩანვართ?
ოლა — რა იცი, რო არა სჩანხარ? იქნება სჩანხარ? და აბა, ესლა გამიკოხე შუბლი შენებურადა! გაიციე მეთქი, ილავე, გაიციე. რასა ჰგავხარ ეგრე პირქუში?
ოლა — მამეშვი, ერთი და... რაცა ვარ, ეგა ვარ! ვა!..
ოლა — ილიკო, შვილო, აქ მამეშვი, რა უნდა გითხრა... გესმის?
ოლა — ჰო, ჰო, ძაან ესმის, ძაანა!
ოლა — ესმის, მშვენიერად ესმის... ილიკო, შვილო, ეგრე ემანდ კუნელის ბურქს ხო ჰხედამ? ემანდა შავებსა აქეთ ბუდედა გვიგალობენ ხოლმე... და ეგენი არ დააფრთხო, ისე მიდი მანდა...
ოლა — მართლა იქით მიდის, კაცო...
ოლა — ესლა ამ ჩვენი საფლავის ლოდს გამოჰხედე მაგ კუნელის ხავსიანი ტოტეზიდანა... გვეხედამ მე და ილასა?
ოლა — გვეხედამს, გვეხედამს... მემრე?
ოლა — აი, მაქედან გადაგვიღე, სწორედ მაქედანა და ჰნახე მემრე, რაც მოხდება...
ოლა — მართლა გადაგვიღო, კაცო... მართლა ესმის, კაცო... ეგ რო ადრევე არ იყო ამქვეყნისა, აკი მაშინათვე ვამბობდნი...
ოლა — ნამო, აბა, ჩვენცა ვნახოთ, რა გამოვიდა.
ოლა — ნამო და ნამო...
ოლა — აი, ემაგას გეუბნოდი, ილიკო, შვილო...
ოლა — ეს, იცი რა მოხდა, ოლა? გითხრა?
ოლა — მითხარი.
ოლა — აი, ეს სურათის გადასაღები აბარატი რო უჭირამ ხელში ილიკოსა, ეს ხო ანათებს ხოლმე, სანამ გადაიღებდეს.
ოლა — ხანდისხანა.
ოლა — მემრე ისა, რო ეს კუნელის

და გამეცინა, ამიტყდა სიცილი. იმას კიდევ სულ არ ეცინება, მიყურებს, შენ არა ხარ გივია ატანელოვიო.

შენ რა იცი მეთქი, თუ ხალხს ვერა ცნობთქო.

გივია ატანელოვი მკვდარიო. ვახ, მაგის დედა ვატირე. რათ მინდოდა ეს ქასაძე. შეგნუხდი და დავნერვოზდი. თან სიცილით, თან ფიქრი მომიწია უჟე. ეგრე აღარ არი, რო დრასტი ზნაკომ ქასაძე.

ხოდაო, კაროჩეო, რა გინდა და ვინა ხარო.

არაფერი არ მინდა მეთქი. პროსტო, გიცანი და დაგიძახე, შენ ვერ მიცანი და ვერ დამიძახე, ვეუნები და უკვე მონევა მომინდა.

მაიცა, მეთქი. ავდექი, მივედი და დაბრეცილს ვეუნები, რო მორჩები ეგრევე დამიძახე. დაბრეცილი კიდევ უბერავს, იცის დაბრეცილმა თამაში. ერთობა და კაიფობს. გაჩუკასკენ გახედვა არ მინდა, რო ნააგებს, ისედაც მოვა, თუ მოიგებს და ხო მოვა და მოვა. სიგარეტი გამოვართვი და გამოვედღე.

ესე იგი, დაინახა, რო მარტო არა ვარ.

მოკლეს გივია ატანელოვიო. დიდი ხანია მოკლესო.

რუსეთშიმეთქი? ჩემზე კარგათ გეცოდინება სადაცო. მოსვა ეს ვისკი და ამბობს.

ეხლა რას ვიხსენებ იციო, იასნია, რო ნახალოვკელი ხარო. პროსტო, გივიას ძმაკაცი ხარ, თუ პროსტო იქ იყავი, გივია რო კლასში შემოვიდა, ეგ აღარ ვიციო. იმ კლასშიო პატარები იყო და იმიტო ვერ გცნოფო. და გივიას ძმაკაცებსაც მე დიდად ვერა ვცნობდიო.

კაროჩე, მაგ კამპოტიდან ხარ და პროსტო ვერ ვიხსენებო და აქ რა გინდა, რატო მიყურებ კაზინოშიო.

მეთქი, გიყურეფ არა ისა, კამპოტიდანაც ხარ და მანი ქაშიდანაც. ჩემ საქმეზე ვარ.

რა შენ საქმეზე ხარო, არ თამაშობო. სამნი ხართ აქო, შენ ვაფე არ თამაშოფო და ის ორი კიდევ ვითომ თამაშობსო და, კაროჩე, რახან დამიძახე, ისიც მითხარი, რა გინდა და მერე ვილაპარაკოთო.

უკვემეთქი, ეს ვერ არი მატორზე. მარა ვატირე, რო აპასნი ხო არი და არი, იზმენაც აქ აკიდებული, რახან გივია ატანელოვი უხსენე.

ეგ ხო იყო ერთი ოცდაათის. ეხლაც ვერა ხო? ხო არ მოაკლდებოდა, პად მოისიატ არი, მარა არ ეტყობა. გასუქებულია და კაროჩე, კაი ნაჭამია. თუ კეკებუნიკია, პადპალკოვნიკი ხო მაინც უნდა იყოს, აბა, მაშინ დებილი ყოფილა, თუ მაგ ხნის პადპალკოვნიკიც ვერ არი.

მეთქი, იგროკოფ ეხლა? გიყურეფ, სულ მოიგე. ისეო, ხანდახანო, ვიცი ეგ საქმეო.

გინდა თამაშო, აილე რამდენიც გინდა ფიშკა, ითამაშეო.

ეეე, მეთქი, არა ვთამაშობო.

მაიტა, კიდევ დავლიოთ. ნავიდა, მოიტანა.

რატო არ თამაშოფო.

მეთქი, დავაი, დავლიოთ.

იმიტო არ ვთამაშოფ, რო არა ვარ მაგის იგროკი. შენ ხარ და თამაშოფ.

მაინც არ მეუნები, ვინა ხარო.

მეთქი, შენი მოწაფე ვარ, რა მნიშვნელობა აქ და პროსტო გიცანი.

არ ჯერავს.

ხო უყურეფ, ვაფე არ ჯერავს.

შენო იცოდეო, რო გივიას ამბავში, ჩემი ბრალი ვაფე არ არიო. მე მაგას დაჟე ვაფთხილებდიო.

მეუნები, რო ნაილე ჩემი მოგებული და ნადიო. რა პონტი მეუნები, ვერ გავიგე ან შენი მოგებული მე რათ მინდა, ძმაკაცი ხარ ჩემი, თუ ვინ ხართქო.

სწორეა ყველაფერიო. უცბათ მეუნება. პროსტო, ერთი რამე დაგავიწყდაო.

რამეთქი, და გივია ატანელოვი რატო ახსენეო.

ეეემეთქი. მიხვდი, რაც იყო მაგის იზმენა. გივიას ძმაკაცი ვგონივარ და რალაცა ცუდი აქ გაკეთებული გივიაზე. დაიკიდეთქო, ვაფე არ მინახია სკოლის მერე გივია ატანელოვითქო.

მიყურებს და მიყურებს.

მეთქი, ბოლო-ბოლო ვინა ხარ.

პროსტო, სახელი ვთქვი.

ეგ მახსოვს, რო ეგრე თქვა სასაცილოთ, გივი ატანელოვი ნოლიაო? მეორეთ აღარა თქვა, რო გივია ატანელოვი ნოლიაო.

ჩაიცინა ეგეთ პონტში.

კაროჩეო, ტემ ბოლეე, გამისწორე, აილე ეს ფიშკები და ნადით აქედანო. შინაურულათ გეუნები, ხო გასწავლიდი წრედის შეკვრასო და გაელიმა და თან აქეთიქეთ იყურება.

და საზოგადოებრივი ცხოვრება

რატო ვფიქრობდი ეგეთ რამეს არ ვიცი, მარა ხო იცი, რო გეპასვნება უცბათ. მეაპასნა ამბაკო ქასაძე, იკაიფე.

მეაპასნა, კაცს რო შეხედავ, ხო აზზე ხარ. და რალაცა ნიტო აქ. ის ფიზიკის ამბაკო ქასაძე ხო მახსოვს, რიფა ბაზრების გამშვები და აფერისტი და ეს ეხლა, პახოდუ, იასნია, რო აფერისტია ისევე, მარა უჟე აპასნი ვიდაცაა. ეგრევე ხედავ და გაუშვი, იყოს აპასნი, პროსტო, სხვანაირათ უნდა შეხედო.

ეხლა მაგან უკვე იცის, რო კაკმინიშუმ სამი ვართ. ერთი გაჩუკა იქ ეჯდა, ერთიც დაბრეცილთან მივედი, სიგარეტი გამოვართვი. სამნი ვართ.

მოუკიდე და მეთქი, ნუ ნერვიულოფ, ამბაკო ქასაძე, პროსტო, დაგიძახე. გიცანი და დაგიძახე, ეგ არი და ეგ.

არ ვნერვიულოფო, შენ ნუ ნერვიულოფო. პროსტო, აღარ ადგა. ზის იქ. დერსკი ამბაკო ქასაძე, ფიზიკა. ვზივართ ეგრე ჩემათ და მეთქი, აბა, რომელი პირველი დაილაპარაკებს, ბავშვობაში რო თამაშია, გულში ვფიქროფ.

სულ არ მინდა მაგასთან დალაპარაკება, მარა როგორ აბაროტი მიიღო ხო უყურეფ, ერთი პროსტო სახელი და გვარი ვთქვი და ტიპი ვაგიფე, ვაგიფე მარა მეთქი, ვინ არი, შტირლიცია, რამ გააგიფა. ვაგიფე და თან აპასნი. პრასტოი ფიზიკა აღარ არი, ხო ვხედავ იავნათ. ვარ ეგრე ჩემათ, ვენევი დაბრეცილის ვინსტონს. უცბათ იწევა. კაროჩე, ვენევი და კიდევ მინდა. რალაცა ხო უნდა გავაკეთო. მონევა კაია ეგეთ პონტში.

უცბათ მეუნება, დავლიოთ, არ გინდაო?

არა ესვამმეთქი.

მეც არა ესვამო, ადგა და ნავიდა ბარში, ორი ვისკი და პაჩკა მალბორო მოიტანა.

ვააა.

კაროჩე, არ მახსოვხარო, ვერ გიცანიო და ეგეთი გამოთქმა არიო, რუსულათ მეუნება, რო არაფერი ცუდი არ არიო, როგორც დაუმთავრებელი საქმეო.

ალბათთქო, ხოდა, მითხარი ვინა ხარო, თორე არ გამოდისო.

მეთქი, ვინ ვარ, ჰა. ვინ რას გეუნება. ანეკდოტი როა, სადაური ხარო და თბილისელიო და ვიას იცნოფო? მიყურებს ისევე, ეს ვისკიც მოსვა.

მიყურებს და მიყურებს.

მერე თქვა, გივია ატანელოვთან რა კავშირი გაქო.

მეთქი, თუ მკვდარია, რალა კავშირი უნდა მქონდესთქო.

გაეცინა.

ბიჭო, ტო, მეაპასნება თან. როგორი პონტია, იცი? უკვე ვგრძნოფ, რო მამენტ ძალლია, ანდა ძალლიც არ არი. რალაცა არი ძალლის პონტში. ეს ფიშკები ისევე ხელში უჭირავს, კოლოფი. ვისკიზე რო ნავიდა, ნაილო. ერთათ მოიტანა ორი ვისკი, მალბორო და ფიშკები. ვიფიქრე რამდენი თითი აქმეთქი, ოცი?

მეც აღარა მაქ არანაირი კავშირიო.

იცი როგორ არი, კაროჩე? აი, ხო არ ჩანს. პროსტო ეგეთი ღურაკული ბაზარი მიდის და შიგნით კიდევ ჭიდაობა მიდის. მეჭიდავება, რა. მე ავკიდე ცოტა იზმენა თავიდან, მერე თითონ ამკინდა, რო ვინ არი ეს ამბაკო ქასაძე. ეხლა იმან აიკიდა, გივია რო ვახსენე და მერე ისევე მოუბრუნდა და მეჭიდავება, კაროჩე.

რალაცა პონტი იყო, რისი იზმენაც ქონდა.

შეილება, პროსტო, რო სკოლა ცუდათ ახსოვდა. ცუდათ ეხსომებოდა იასნია, ფეხები აქ გაპარსულიო. მეთქი, სკოლაში მასწავლებლობას რატო დაანებე თავი.

ეგ საკაიფოთ ვკითხე, იმიტო, რო მე რა ვიცი დაანება? მარა ისეთ ვიდეა, რო მასწავლებელი აღარ არი იავნათ. გასუქებული მასწავლებელი, თან კაცი, მე არ მინახია. ჯერ სადღა არი კაცი მასწავლებლები. ერთი-ორი იქნება და ასი ქალი.

ხო იციო, რო მასწავლებელი არც არასდროს ვყოფილვარო, პროსტო ეგრე მოხდაო.

ხო იციო. მე რა ვიცი? იავნათ იმას ეგონა, რო მე ვიცი, ვინც არი, მე კიდევ პროსტო ვიცანი.

ხომეთქი, ხდება და ვაგრემდით. გივიას ძმაკაცი იყავიო?

იმიტო არ ვახსოვარ, რო მეექვსეკლასელი ვიყავი და რამხელა იზმენა აქ.

რატო აქ ეს იზმენა, არ ვიცი.

კაიმეთქი, ხარაშო, დაიკიდე. არაფერი, პროსტომც გიცანი სკოლიდან.

დავიკიდეფო, მარა ვერ იკიდებდა. მე კი დავიკიდეფო, მარა შენ ვინა არა გქვიანო.

მაგრა ნერვოზებმა მომიარა უკვე. რა გინდამეთქი, ვინა ხარ, რას მომიჯექი. თან როგორ ბაზრობს იცი? შორიდან რო შეხედო, ვითომ არც ბაზრობს. ხმადაბლა, ხმადაბლა და თავი კიდევ ჩალუნული. კაროჩე, ვიდი აქ, რო კლიენტი არი თავისთვის და ვიდაცა როჟა ხმამალა ელაპარაკება, უტრაკებს. ტუქსავს, რა. მე ვტუქსავს, კაროჩე.

მე რა მოგიჯექიო, მოხვედი და დამიძახეო. ზასვენეკა გააკეთეო. რამეთქი, რა გავაკეთე? ზასვენეკაო. ეგ სიტყვა ძლივას დავიმახსოვრე, მთელი გზა გულში ვიმეორებდი. ეგ რა არიოთქო. ეგ არიო, რო მოხვედი და ძალასძალათ დამენახე და ხმა გამაგონეო. მეთქი, ძალლია სტაპრაცენტნი და უცბათ მიხვდი, რო კეკებუნიკია.

ამბაკო ქასაძე არი კეკებუნიკი.

მე უთხარი, სკოლა არ ჯობდა მაგას მეთქი?

სკოლა შტრაფბატი იყოო.

მაინც ვერ ვავიგე, რას ბაზრობდა.

მაიტა, მოდი ერთი დავლიოთ კიდეთქო. უკვე მაგრა დამეზარა რამეები. აღარც გაჩუკა მახსოვს, აღარც კაი ფეხი და, მეთქი, მაიტა, მოდი დავლიოთ, და ეგ ვისკი გადაუშვი. მაგრა არ მევასება ეგ ვისკი.

ეგ თუ კეკებუნიკია, ხო მალაპარაკებს ყველაფერს. კაროჩე, ხო არი ჩემზე ბლომათ უფროსი. მე რო ცამეტის ვიყავი,

აი, ეგ არი. მაგან იფიქრა, რო მე რალაცა ვიცი. ნალდი კეკებუნიკი იყო. იმიტო, რო იმათ იციან მაგნაირი ეჭვები.

კაიმეთქი. გულში ვფიქრობ, გივიას არც ვიცნობდი და ამან რატო წარმოიდგინა, რო მე ეხლა იმ გივიას ამბავში დავადექი, არ ვიცი.

ეხლა სად მუშაობთქო და გაიცინა.

ეხლა კაზინოში ვმუშაოფო.

ამეთქი, იგროკოფ, ოჩინ პრიიაატნა.

არა, სხვა კაზინოში ვმუშაოფო.

ვახ, მოვკვდი რა. მეთქი, რაზვეტკაზე ხარ აქ, აბა, თუ რას შვები. დაახლოვებიო.

ხოდა, მეთქი ეხლა მე ამ კაზინოს ახრანა არ გეგონო.

კაროჩეო, ერთ რამეს გეტყვიო, ეხლაო რახან ჩემი მოწაფე ხარო, აილე ეს ფიშკები და სამივე ნადითო. მჩუქნი მეთქი? კაროჩე, გრუქნიო, ორნახევარზე მეტიაო. დავაი, ოღონდ ნადი აქედანო და შენებიც ნაიყვანეო.

ვაფე ამებნია, მეთქი რა იზმენა აქ ვაფე. სუ დამავანყდა, რო ვიფიქრე, რო კეკებუნიკია. კეკებუნიკი რატო გეტყვის, ნაილე ჩემი ფულეებო. ძალლი რო იყოს, ხო. უნდა, რო რალაცაზე გამოგეჭიროს. მე რავი, ეგება ძალლიც არი. ვაფე ამერია.

მეთქი, რატო ნავიდე.

ან შენ რა უფლება გაქ, რო მეუნები ნადი აქედან.

მე მაგას არ გეუნებო. მე გეუნები, რო თუ გინდა, ამ მოგებულს გიგრევეფ, პროსტო ძველი სკოლის ამბავში და ნაიყვანე შენი ძმაკაცებო.

მეთქი, გამაგებინე პროსტო, რა იზმენა აიკიდე, პროსტო, სახელი და გვარი გითხარი, იმიტო, რო გიცანი და ამდენი წელი არ მინახევხარ. იასნია, ხო კაზინოში ტეხავს ხმამალა სახელის და გვარის თქმა, მარა ეგ გრეხი არ არი და პროსტო გავიარეთ და დაივიწყე. თუ იგროკი ხარ, ეგეც თქვი და თუ კაზინოებში არ გიმევენ, იასნია, რო კამერაზე ხარ ხო, რო თამაშოფ და შენი მოგებულიც დანახული აქთ. ეგეც გავიგე. ეხლა პროსტო მოდიხარ და

ამ ლაპარაკში ვართ და როგორი პონტია იცი, აი, რუსეთში რო რალაცა პონტში ნაშა დაგეგასა და იმან მისამართი მოგცა, მარა ისეთი პონტი როა, რო ახვედი და კარებთან დგეხარ და ფიქროფ, ეხლა დავრეკო და ნეტა სახში ვინმე ისეთი არ დამხვდესო. მაინც რო არ იცნოფ იმ ნაშას და რო არ რეკავ. მისული ხარ, კაროჩე, და უტრიალეფ პონტში, მელა რო დასუნსულობს მულტფილმებში. ბოლო-ბოლო ხო უნდა დარეკო. კაროჩე, გასაიასნებელია.

მეთქი, კეკებუნიკი ხარ?

გაეცინა.

სიცილებს რო მოუხშირა, არ მევასა, იმიტო, რო იზმენის სიცილები არ იყო. უკვე ისე იყო რა.

შენო მაგარი სტრანნი ვინმე ჩანხარო. პასაჟირი არ უთქვამს, ვინმეო.

ჯერ ამბობ, რო ისე გიცანიო და სკოლიდანო და ეხლა ამბოფ კეკებუნიკი ხარო. პახოდუ, სახელს და გვარს არ მეუნებო.

მეთქი, იმიტო არ გეუნები, რო შენ არ მეუნები, ვინა ხარ.

ამ ლაპარაკში ვართ და, კაროჩე, გაჩუკა მოდის, შეხედა ვიდაცას ველაპარაკები და გაჩერდა. ერთი წუთიო, იქედან მეძახის. კაროჩეო, ოთხმოცი დოლარის მაქ დარჩენილიო, და რა ექნაო. რა უნდა ქნა, ითამაშეთქო. ვითამაშო? ხომეთქი. მოვატრიალეფო? მეთქი, მადი, ითამაშე. თუ არ ითამაშე, როგორ მოატრიალეფ. ჯიგარი ხარო, და გაიქცა.

მოვიხედე, ეს აღარ ზის. გაქრა. კეკებუნიკი სუფთა. ჩასუქებული. ფეხებგაპარსული. აქ რო? მიდი ეხლა და იფიქრე. მაგრა ავიჭერი, დავჯექი ისევე. იმისი ჭიკაც აღარ არი. მალბორო კიდევ დევს. ფიშკებიც წაუღია იასნია. მივიხედე-მოვიხედე, არ არი. მეთქი, მოტყდა. გიჟი ყოფილა ქასაძე ამბაკო, დაცენტრილი რა. რა იზმენები აიკიდა, ან რა იზმენები ამკიდა. კეკებუნიკი, ძალლიო, ვინ დაბრიდა გივია ატანელოვიო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ლელა მეტრეველი

ზამთრის დაისი

1
ახლა დაისი ზღვას ისე შევინის,
ვით აპრილს — ია, ქორწილს — მაცურები.
ბილიკზე დაყრილ გამხმარ წინწებში
მივაბიჯებ და შენ მენატრები.

მახსოვს, წლების წინ ჩამავალ მზითაც
იმედის ძაფი მსურდა დამერთო...
მაშინდელ ზაფხულს, ახლანდელ ზამთარს
უშენობა აქვთ მხოლოდ საერთო.

2
ცასა და ზღვას შორის საზღვარი
აღარ ჩანს. ზღვა ერწყმის ცის ფერებს.
ღრუბლებში ოქროა დამდნარი.
ბატები ორ მწკრივად მიფრენენ.

დღე-ღამის შეყრის დრო დამდგარა.
დაისი დგას გულის ნამღები.
მარმაშის არშის მაგვარად
ნაპირს ეხლებიან ტალღები.

ხმაური არასდროს მორჩება
ტალღების. ხოლო მზე უტყვია.
ერთ ლექსში ასახლებს ოცნება
ამ ორ პერიოდულ ფუნქციას.

3
აღმოსავლეთით კუნძულებად ჩანან ღრუბლები,
დასავლეთისკენ — ცეცხლის ენებს აბრიალებენ,
თანდათანობით იძირება ბინდბუნდში კონცხი,
თავს თოლიები უნუგეშოდ დასტრიალებენ.

უზარმაზარი კუს ბაკანს ჰგავს ლოდი ყურეში,
ზღვას გარდიგარდმო მზის ბილიკი ატყვია დამლად,
ისევე მიქცევა-მოქცევის ხმა მესმის ყურებში
და ბალერინას კაბის ბოლოდ იშლება ტალღა.

ნაპირზე რჩება კვალი სველი და ოკრო-ბოკრო.
ბათუმის მიღმა კვლავ იფრქვევა ცეცხლი და ოქრო.

4
ზებრა — ოლონდაც ყვითელი და
რუხი ზოლებით,
ანდა ორფერა ცისარტყელა.
შოლტები ცეცხლის —
დაყოფილი ტიხარით ვერცხლის —
დავარქვათ თუნდაც
სურათს ცაზე შებინდებისას.
მას არაფერი გაეგება ჩვენი ვნებისა.
დაიხატება და გაქრება კვლავ უსახელოდ...
მეც მეტი რა ვქნა, —
ლექსი უნდა წამოვაშველო.

საით მივდივარ?!
სიტყვებს სეტყვად
ვაყრი ქალღმერთს და
ველი, სეტყვა რომ განყალდება,
რას იზამს ლექსი...

ანა ახმატოვას
...მით უფრო ცისკენ მაღლდება ლექსი,
რაც მაღალ მთაზე ასვია ჯვარი,
შენს გასაკრავად გამზადებული.

სიტყვაებს
(თეზა და ანტითეზა)
*
ერთად სხდებიან ლექსში წყვილები,
ერთმანეთისთვის გაჩენილები.

*
როგორ შეგკრიბოთ,
სად გიპოვოთ ერთმანეთისთვის,
ვინ მომაქვავა
შესაფერის შერჩევის ნიჭი?!

შინდელი
თუ გაჩნდებოდი
გაზაფხულზე ბალნარში, სადაც
ფერად სამოსელს
იზომავენ ხეთა ტოტები,
ვერ ვიქნებოდი
მაგნოლიის ყვავილი ალბათ,
მოვარდისფერო
ვიქნებოდი ვაშლის ყვავილი, —
სიდიდით ჩემით
არასოდეს შეგაშფოთებდი!

მ. ბ.-ს
შენ თქვი, რომ ირგვლივ ახლა უხვად
არიან ბრძენი
და თვალხილულთა მონატრება
გვტანჯავს, გვანვალებს...
მე კი — ყინული — თვალთა შუქზე
მხოლოდ ვლღვები, —
ჩამქრალ მზერაში როგორ უნდა
გავლღვე, მასწავლე!

ფერიასავით გამოწყობილ
მოჩიბულ გოგოს
გვერდით ჯერ კიდევ ახალგაზრდა
მიჰყვება დედა,
როგორც პლაკატი:
“ჩემი თავი ჯანდაბას ახლა!”

ჩემი ბრალია,
რომ გგონივართ ისე მარტივი,
როგორც ატომი —
მეცხრამეტის დასასრულამდე?!
მერე ხომ ვნახეთ,
რას ინახავს ატომის გული...

მოდის — ბედია თუ ბედისწერა —
ყურებდახშული, თვალბრუნებლით,
შენ კიდევ აუტანისხარ წერას
და ლექსებსა წერ. ვილაცის ჯიბრით
კი არა, მარტო იმიტომ თუნდაც,
რომ ამას ითხოვს რაღაცა შიგნით,
რომ დაუბრუნო მუხთალ ბედს ხურდა
და შენი ასლი — პატარა წიგნი —
დატოვო. მერე ვინც რა უნდა თქვას:
ხვალინდელ დღეზე იზრუნებს ხვალე, —
ვილაცა მოვა და დაგინახავს,
ვილაცა მოვა და შეგიყვარებს.

მრავალი ქართველის ნაცვლად
შენ გეუბნები,
მომისმინე, ჩემო ქვეყანავ:
ხან ჯავარდნების ელვარებავ,
ხან — მგლის არჩივო,
ხან — მოკამკამევე,
ხან — ავდარში ზღვის მღელვარებავ,
შენ — ერთადერთო
სიყვარულო ჩემო ცალმხრივო!

შენ გეუბნები,
მომისმინე, შენი შვილი ვარ,
ნდობით რომ გიქცერ,
გამიმართლე ერთხელ იმედი,
როცა შენ განვიმს,
მეც ისეთი მოწყენილი ვარ...
გასრესილი ვარ
შენი ხვედრით, ასე მძიმეთი.

წარსულში მყავდი?
მომავალში ისევ იქნები?
ალბათ მჯერა, —
უიმედოდ რაღამ მაცხოვროს?
შენი ანმყო ვარ, —
სიყვარულზე უარს ნუ მეტყვი,
მე ახლა ვარ და
ახლა მინდა, მქონდეს სამშობლო.

კოლეცია
თითო კენჭს მაინც
წამოგიღებ
ყველა კუთხიდან,
სადაც უშენოდ ვიყავი და
მენატრებოდი.

იანვრის მინდორი
ალაგ — ახალი ნახნავი,
მწვანე ჯეჯილი ალაგაც,
ალაგ — სიმინდის ღერები,
ვერგატანილი ჩაღადა, —
გზის პირას ქრელი მინდორი
ჰგავს ჯარისკაცის ფარაჯას.

თითქოს ვილაცას
სიხარული ჩემთვის ებევრა, —
ზურგზე ამკიდა სატარებლად
მძიმე ლოდები...
შეგხვდი — ვერ აგცდი.
განწირული იყო შეხედრა, —
ერთმანეთისთვის ბევრს ვნიშნავთ და
მაინც ვშორდებით.

ცხოვრება ისევ
მდინარეა ადიდებული.

გალმა ნაპირზე — სინათლისკენ —
ისევ ხიდი ხარ.
მივდივარ გზაზე
მე — მართალი და უბედური,
შენც — მართალი და უბედური,
სხვა გზით მიდიხარ.

სინანული
„მთელ ჩემს ძალასა და
ლონეს გამოვიყენებ“.
4 წლის ეკატოს საყვარელი გამოთქმა

ბევრი ვეცადე თუ ცოტა,
ტყუილად დავმვრი, ვგონებ:
ვერ მოვახმარე ვერაფერს
მთელი ძალა და ღონე,
რომლებიც ისევ თავში მაქვს,
მაგრამ მიმტყუნა ხელმა.
ბრძენმა იმდენი ვერ მომცა,
რაიც წამართვა ხელმა.
სულ ერთი ერთზე ვიდექით
მე და სანუთო კრული,
არც არვინ სახლი ამიგო,
არც მომიტანა პური.
ხორცის, სულის და გულისთვის
ხელეუბნები ვკონე, —
რას ეყოფოდა ყველაფერს
ჩემი ძალა და ღონე?!

არც კი ვიცოდი, რა იყო დალლა,
ვიხლიჩებოდი სურვილებს შორის,
ღმერთი კი იყო ძალიან მაღლა,
ღმერთი კი იყო ძალიან შორი.

...და ვერსად ვპოვე თავშესაფარი,
თავი მგონია ყველგან ხიზანი.
იქნებ მანიშნო, ღმერთო, რა არის
ჩემი ამქვეყნად მოსვლის მიზანი.

ისე ვაკეა...
ბორცვიც არ ჩანს ჰორიზონტამდე.
ნეტავ თვალს რაზე ასვენებენ
აქაურები?!

შენ ოცნებობდი სხვა ცხოვრებაზე, —
მაინც ასეთი გერგო სვე-ბედი.
მეც ვარსკვლავებით მოჩითულ ცაზე
მუდამყამ ბედის ვარსკვლავს ვეძებდი.

ვუცდიდი, როდის ჩამოუშვებდა
შიბას და ნეტავ რატომ ვიცადე? —
ბედი ხომ მუდამ იმას სწყალობდა,
ვინც ორთავ ფეხით იდგა მიწაზე.

ვერ გაიარე გზა ჩემ მხარდამხარ,
სულ სხვა მოტივზე ამღერე სტირი...
შენ მაინც ისე კარგად არა ხარ,
მე როგორც მსურდა
და ისევ ვტირი.

აბურდული, დაბურდული,
თეთრფრთიანი და ფარტენა
ნისლი,
ხევში ჩაკიდული,
ძალას იკრეფს ასაფრენად.

იყო კვირტების ჩუმი ჩურჩულიც,
არა მარტოდენ
ფოთლების კვდომა...
როგორ გაფრინდა ის გაზაფხული,
როგორ გაგრძელდა
ეს შემოდგომა!

ელენე ჭავჭავაძის ხსოვნას
აქედან იქით ხმის მიწვდენას
ალბათ ცდილობთ,
უკვე იქა ხართ და ეძახით:
— ფიქრია, შვილო!

— ვუპატრონეო შენს ნაწერებს, —
ახარებთ მურმანს,
მაგრამ ვაი, რომ ველარ შეძლებთ
ცოცხლებზე ზრუნვას.

ასჯერ გაზომეთ იმ ქვეყნისკენ
გადასახედი,
— შევასრულო ჩემი მისია, —
თქვით და ნახვედით.

ბესიკ ხარანაული:

„პირველიდან ბოლო წვეთამდე მე ვარ და არ შევცვლილვარ“

70 წლის ასაკში ქალაქი დაამარცხა, თუმცა მიიჩნევს, რომ ჯერ კალმის გვერდზე გადადების დრო არ არის. არადა, მისი ერთი-ორი წიგნი ბევრისთვის საკმარისი იქნებოდა, გაბლენდილიყო და დიდი მწერლის პოზა ამაყად შეეფერებინა. მისთვის კი ასეთი რამ მიუღებელია, ისევე, როგორც წარსულით ტკობა. წარსული მკვდარია, უკვე ჩაველია, ხსნა კი წინაა, ახლის ძიებაში. ამიტომ მზადაა, ყველაფერი ძველი „მოიშოროს“ და წერას ახალი შემართებით შეუდგეს, ისე, თითქოს მანამდე არაფერი ყოფილა.

ბევრი წიგნი არ უნდა გამოსცე, რადგან ქართველები უცნაური ხალხი ვართ: ერთხელ წავიკითხავ და მერე იციან, რაც ხარ. ამიტომ პირველი წიგნის გამოცემა ჩვენში ძალზე მნიშვნელოვანია. თუ გავიმართლა, მერე იარაღი მოგეკრება და რაც გინდა აკეთე, დანარჩენი წიგნების კითხვით თავს არავინ შეინუხებსო — მითხრა საუბარში. ვეჭვობ, ეს სიტყვები მათ ავტორზე ვრცელდებოდა, რადგან ბესიკ ხარანაულის წიგნები იმ იშვიათ გამოწვევას შორისაა, რომელთაც მკითხველი ინტერესით ელის. ვასული საუკუნის 70-იანებში, როდესაც ასპარეზზე გამოჩნდა, ლიტერატურულ წრეებში ერთხმად აღიარეს. მაშინ ამბობდნენ, რომ მისმა ლექსებმა ქართული პოეზიის განვითარება შეცვალა. თავად ასეთი შეფასებების მიმართ გულგრილია. ანუხებს მხოლოდ ლექსი და ის, რომ უკვე დანერგილი წიგნი დაუმარხავი მიცვალებულივით არ ედოს სახლში. ცოტა ხნის წინ მკითხველს ახალი რომანი — „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი პიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ — შესთავაზა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მანამდე იყო კიდევ ერთი საინტერესო ამბავი — ქართველ მწერალთა ჯგუფმა ბესიკ ხარანაულის ნობელის პრემიაზე წარდგენა გადაწყვიტა. დამეთანხმებით, ასეთი ამბები ყოველდღე არ ხდება, ამიტომ მასთან საუბარი ამ ფაქტით დავიწყე.

— ბოლო დროს ერთგვარი აჟიოტაჟი ატყდა თქვენს პიროვნებასთან დაკავშირებით. ლაპარაკია ნობელის პრემიაზე, რომლის კანდიდატად დასახელებას მწერალთა ჯგუფი გვიპირებო. რამდენად ვიცით, ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელიც ამ კონკურსზე საქართველოდან წარადგინეს, ოთარ ჭილაძე გახლდათ. იქნებ გვიამბოთ, რა ხდება და რასთან გვაქვს საქმე?

— ამ კითხვას რამდენჯერმე ვუპასუხებ — ხუმრობითაც, ირონიულადაც, მაგრამ ამან ვერ გამათავისუფლა პასუხისმგებლობისგან. მკითხველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს იდეა იოლად აიტაცა, ხოლო პრემიების საქმეში უფრო გარკვეულადაც ასევე იოლად დაუშვინდათ გონება. მე, რა თქმა უნდა, მათ ერთმანეთს არ ვუპირისპირებ, მითუმეტეს, რომ ყველასათვის ნათელია: ამ პრემიის მინიჭების ბედი არც მათზეა დამოკიდებული და არც ჩემზე. ისე, საქმე მეც რომ არ მეხებოდეს, სულ არ მიკვირს ეს აჟიოტაჟი, რადგან სინამდვილეში ყველა ქართველის ნარმატება თითოეულ ჩვენგანს უხარია და სიამაყით აესებს, ისევე, როგორც გულს უკლავს ნაგება. თუმცა მწერლობაში პრემია არც მოგებაა და არც წაგება, რადგან ბევრზე ბევრი დიდი მწერალია, არავითარი ჯილდო რომ არ მიუღია.

ნობელის პრემიაზე უთვალავ მწერალს აყრიან: ვინც იმედი გადანიშნა, პასკვილებს უწერს, სხვები კი პირმოთხედ ელოლიავენ. მე მგონია, რომ თუ მწერალს პატივმოყვარეობა ამოძრავებს, ის თავისუფალი ვერ იქნება. მწერალში უპირველესი შემოქმედებითი თავისუფლებაა. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვისი მონა იქნები, ზოგადი იდეის თუ საკუთარი აზრისა.

ნობელის პრემიას ჩვენში თავისი მცოდნეები ჰყავს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ პრემიით ხშირად კარგ მწერლებსაც აჯილდოვებენ. ვიცი, რომ მან ბევრს ცუდი სამსახური გაუწია, ზოგს კი სიბერეში ერგო და პატივმოყვარეობადაც მაყოფილებული მიეზარა მინას. ჩვენში ნობელის პრემიაზე, როგორც გაგებული მაქვს (არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ მინახავს), ოთარ ჭილაძის გარდა, ჭაბუა ამირეჯიბიც იყო წარდგენილი. არ ვიცი, დასმენების გარდა კიდევ რა „რეკომენდაციები“ იყო გაგზავნილი მასზე, მაგრამ ერთი გაფრთხილება კი შემომითვალა: თუ გვერდით სახელმწიფო და კერძო მეცენატი არ დაგიდება, პრემიის იმედი ნუ გექნებაო. მე მადლიერი ვარ ბატონ ჭაბუასი. ჩემზე უკეთ ვინ იცის, რომ ჩემი ნაწერების მხოლოდ ათიოდ პროცენტია უცხოურად თარგმნილი. ისიც მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელების პირადი ინიციატივით, დროის იმ მონაკვეთებში, როცა მათ შეეძლოთ სამსახურებრივი მოვალეობიდან თავისუფალი ყოფილიყვნენ („ძალიან მომეწონა და უნდა ვთარგმნო!“).

— ზოგადად, როგორია თქვენი აზრი მსგავსი მოვლენების მიმართ, ვგულისხმობ ლიტერატურულ კონკურსებს?

— ლიტერატურულ კონკურსებს, პრემიებს, სტიპენდიებს — საერთოეოვნულსა და რეგიონულს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხელოვანის ტალანტი კაცს

პურს არ აჭმევს — ასე იყვნენ აკაკი, ვაჟა... მეცენატები ოდითგან ედგნენ მხარში ხელოვანთ. პირველმა მათგანმა, გვარად მეცენატმა, რომლისგანაც კეთილ საქმეთა კეთება იღებს დასაბამს, ჰორაციუსს აგარაკი აჩუქა, აფინანსებდა ვირგილიუსს და კიდევ მრავალს.


1991 წლის შემდეგ ჩემი ლექსების კრებულები ქალამის ზომას ვერ გასცდა. ახლა მზად მაქვს მთელი ჩემი პოეტური ნაშრომების 600-გვერდიანი კრებულის ელექტრონული ვერსია და ვუზივარ გვერდით ერთგულად. ვინ გამომიცემს? ერთი ამერიკელი პოეტი დაინტერესდა ჩემი შემოქმედებით, გაუკეთეს „ხიბლარ თოჯინას“ შესანიშნავი ბნკარედი... გაგრძელება არ ვიცი. ჩემს ერთ-ერთ ფრანგულად მთარგმნელს სასამართლოებზე იწვევენ თარჯიმნად, პარალელურად ღამის დარაჯადაც მუშაობს, თარგმნას კი თავისუფალი დრო სჭირდება. ვინ დააფინანსებს მას, რომ მთელი დრო ამ საქმეს მიუძღვნას?

— სწორედ ამ თარგმანზე მინდა ვისაუბროთ. ცოტა ხნის წინ პარიზში, „ქართულ სახლში“ თქვენი ნაწარმოებების, „წიგნი ამბა ბესარიონისა“ — სპრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ფრანგულად ომარ თურმანაულმა და მარი ფრენინგმა თარგმნეს. უფრო დანერგვით მოგვიყვით ამ სპრეზენტაციის შესახებ.

— პარიზამდე „ამბა ბესარიონი“ სტრასბურგში, პროექტის, „ჩვენ ვთარგმნით ვეროპას“ ფარგლებში წარადგინეს. სხვათა შორის, იმავე დღეს მეზობელ ქალაქში გიუნტერ გრასთან იყო შეხვედრა იგივე პროექტის ფარგლებში. ამ ადამიანს დიდ პატივს ვცემ და ძალიან მინდოდა გამეცნო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოხერხდა, რადგან შეხვედრები ერთდროულად მიმდინარეობდა.

პრეზენტაცია კვებურის ეროვნული ბიბლიოთეკის, სტრასბურგის ერთ-ერთი დიდი წიგნის სახლის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა, რომელიც ხალხით იყო გადავსებული. იქაური წიგნის მალაზიები კიდევ ცალკე თემაა. ეს არის წიგნის ინდუსტრიის შემადგენელი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც სულ ჩართულია ლიტერატურულ პროცესში. შედინარ და წიგნის სამეფოში ხვდები, სადაც შეგიძლია ჩამოჯდები, გადაშალე და წაიკითხო შენთვის სასურველი გამოცემა. ევროპაში კარგად იგრძნობა, რადგან მნიშვნელოვანია წიგნი ადამიანებისათვის. საგამომცემლო საქმიანობაც ძალზე ორგანიზებულია. იქაური გამოცემელები მხოლოდ დასტამბით და თაროზე შემოდებით არ შემოიფარგლებიან, წიგნს ბოლომდე მიჰყვებიან და ცდილობენ, მკითხველს სწორად მიანდონ.

პრეზენტაციას ბევრი ხალხი დაესწრო, უამრავი შეკითხვა ჰქონდათ. ზოგადად, საქართველო ინტერესებდათ და გამიკვირდა — ჩვენ მეტი ვიცით სამყაროზე, ვიდრე ევროპელებმა? ვიღაც ანთროპოლოგიც კი მოვიდა და მხოლოდ, თან ამბობდა, ეს ქართველები როგორი სხვაანირები ხართო. სტრასბურგში საღამო წაიყვანა ბერნარ უტიემ, ფრანგმა ქართველოლოგმა და საქართველოზე შეყვარებულმა ადამიანმა, რომელიც აქ ხშირად ჩამოდის და კავკასიის შესახებ დიდი ბიბლიოთეკაც აქვს. პრეზენტაციას



„ღმერთო, სანამ სიტყვა არის, მანამ ქარია და ცოდვილმა უკეთ იცის საქმე ცოდვისა... ვწერ, მე, ცოდვილი, მაგრამ განა ცოდვილიანი, შენ ისმინე ჩემი ღალადი... მე ვარ ბესიკ ხარანაული და სხვა არფერზე არ მიზრუნია, ვინც დავამარცხე, მხოლოდ ქალაქი (?)“

წინ უძღვოდა ანონსი პრესაში, რამაც ალბათ ხელი შეუწყო, რომ იმ დღესვე ყველა წიგნი გაიყიდა.

მომდევნო პრეზენტაცია პარიზში, „ქართულ სახლში“ გაიმართა. მასში დიდი მონაწილეობა მიიღო ჩვენმა საელჩომ. საღამო მიჰყავდათ გასტონ ბუაჩიძეს და ჩვენს ელჩს საფრანგეთში, მამუკა კუდავას. ფრანგებთან ერთად ბევრნი იყვნენ იქაური ქართველებიც. მოვიდნენ თემურ ბაბლუანი და მიხეილ კობახიძე... სავეს იყო დარბაზი. საღამო საზეიმოდ საინტერესო გამოვიდა, ძალზე უშუალო ვითარება იყო. ყველა კმაყოფილი დარჩა. რაც მთავარია, გახარებული ჩანდა გამოცემელი, რომელმაც აღნიშნა, რომ „ამბა ბესარიონის“ გამოცემა მისთვის გარკვეულ რისკს უკავშირდებოდა, მაგრამ ღირდა გარისკვა, რადგან მონონებამ მხოლოდის გადააჭარბა.

— როგორ აღმოჩნდა „ამბა ბესარიონი“ მის ხელში?

— ომარ თურმანაულს და მარი ფრენინგს თარგმნილი წიგნის ერთი თავი ერთ-ერთ გაზეთში დაუბეჭდავთ, რომელიც არაკომერციული ლიტერატურას უწევს პოპულარიზაციას. როგორც ჩანს, აქ ნახა გამომცემლობა „კიდამის“ მფლობელმა პასკალ არნომ და ისე მოეწონა, გადაწყვიტა ცალკე წიგნად გამოეცა. საფრანგეთში არაკომერციული წიგნების გამოცემას დიდი ყურადღება ექცევა, რადგან იციან, რომ მხოლოდ კომერციული წიგნების გამოცემა ლიტერატურას გაანადგურებს.

— როგორ ფიქრობთ, რატომ დაინტერესდნენ ფრანგები სწორედ ამ წიგნით?

— ვერ გეტყვით, ეს ჩემთვისაც ამოუხსნელია. სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ მითხრა, „ამბა ბესარიონის“ წაკითხვის შემდეგ სამი კვირა შოკში ვიყავი. მოულოდნელი იყო ფრანგების კეთილგანწყობაც, წერილები, რომლებიც ჩემზე და ამ წიგნზე იქაურ პრესაში დაიბეჭდა. ამ ამბავმა მთარგმნელებს და გამომცემელებს ფრთა შესახა და გადაწყვიტეს, ცხელ გულზე თარგმნონ კიდევ ორი წიგნი: „ეპიგრაფები და ვინაობის სიზმრებისთვის“ და „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი“. პირველის თარგმნა უკვე დაწყებულია, 'ჯორების' თარგმნას კი, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება.

ზემოთ კი ვთქვი, ფრთაშესხმულები არიან ჩემი მთარგმნელები-მეთქი, მაგრამ ვიგრძენი, რომ არც ბუნებრივი მოთხოვნილება აკლიათ — ხელშეწყობა უნდათ, ანაზღაურება, რომ მეტი დრო თარგმნას მოანდომონ. ჩემს ხელში კი მხოლოდ კალამია! მე არ მიპყრია არავითარი წყარო დაფინანსებისა, არც გზები ვიცი და არც მოსახვევები. ამას წინათ ერთ გაზეთში მკითხეს — ამას კულტურის სამინისტრო ხომ არ აპირებსო, მაგრამ ამ კითხვაში გულწრფელი მხოლოდ დაფარული ცნობისმოყვარეობა იყო. ძალიან მიკვირს. განა, ის უფრო უკუღმართი არ იქნებოდა, კულტურის სამინისტრო მწერლებს და ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეებს რომ არ ეხმარებოდა? არ აფინანსებდეს გამოცემებს, მხატვრობას, მუსიკალურ ტალანტებს... წარმოგიდგენიათ, ანდრე მალრო ან ჟოჟ პომპიდუ რომ ფრანგული

ლიტერატურის ლობირებით არ ყოფილიყვნენ დაკავებულნი! ფრანგებს, მოქალაქიდან პრეზიდენტამდე, ყოველ წელიწადს ერთიდაიგივე კითხვა ანუხებთ — რატომ არ არის ნობელიანტი ფრანგი. სამწუხაროდ, ეროვნული ერთსულოვნება ეროვნული თვითშეგნებიდან მოდის, რაც ჩვენს მუდამ გვაკლდა. ვინ აფინანსებს ფრანგული ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემას? ვინ და — „საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტრო, საქართველოში საფრანგეთის საელჩო, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი და საფრანგეთის კულტურის სამინისტროს — წიგნის ეროვნული ცენტრი (CNL)“. და ეს სრულიად ნორმალურია და ფრანგ მოქალაქეებს არ უკვირთ, იმიტომ, რომ ძვალ-რბილში აქვე გამჯდარი ეროვნული თვითშეგნება.

— ახლახანს კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა თქვენს და ზოგადად ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში — გამოიცა „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი“, რომელზეც რამდენიმე წელია მუშაობთ. იქნებ უფრო დანერგვით მოგვიყვით, რა გახდა ამ წიგნის შექმნის სტიმული, რა დაეწყო საფუძვლად, რისი თქმა გინდობდათ?

— 8-10 წლის ვიყავი, როდესაც საოცარი სცენა ვიხილე: ვნახე, როგორ მიდიოდნენ გზაზე ცოცხებით დატვირთულ ჯორებზეამხედრებული ადამიანები, როგორ დავუყროყინეთ ბავშვებმა, როგორ გამოგვიდგნენ და ძლივს გადავანერჩით. ეს მოგონება ბავშვობის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ ეპიზოდად იქცა, რომელიც თავიდან არასოდეს ამომდიოდა. ყველა წესის მიხედვით, ჯორებზე ამხედრებული რაინდების ამბავი ჩემს წინა წიგნში — „ეპიგრაფები და ვინაობის სიზმრებისთვის“ — უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ ის დავამთავრე წერა, რომ ეს ეპიზოდი გვერდზე დამჩნა. თითქოს საფრანგული დაედო. გავიდა დრო და არ ვიცი როგორ, მაგრამ ეს მოგონება ისევე ამომიტივტივდა გონებაში, თან ისე ცხადად, თითქოს დღეს დაიბადაო. მერე ვიკითხე, ბევრი ვიფიქრე და ნელ-ნელა ეს წიგნიც გაჩნდა.

— როგორც ვიცი, მასზე დიდხანს მუშაობდით.

— სამი წელი. ღამის მეცნიერად ვიქეცი. ვცდილობდი, მნიშვნელოვანი ადგილები ზუსტი დოკუმენტებით შემეცნო და არა საკუთარი ნააზრევით, იმის მოუხედავად, რომ ჩემი ვარაუდები ბევრ რამეში გამართლდა. ბევრი რამ თავიდან ამოვხსენი, ბევრშიც თავიდან გავერკვიე.

— რას გულისხმობთ?

— რა გავლენა აქვს გეოგრაფიას, საცხოვრებელ ადგილს ადამიანის ფსიქიკაზე, ყოფაზე. რატომ მიიჩნევა რაფიელ ერისთავი ფშავ-ხევსურების ენას მნიშვნელოვანად; რატომ არის, რომ ბევრი გრამატიკული ფორმა, რომელიც ამ ხალხის მეტყველებაშია, მხოლოდ რუსთაველთან დასტურდება. უცნაურია ფშავ-ხევსურთა სამოსი, რომელსაც მთელს კავკასიაში ანალოგი არ გააჩნია. ჯვრები, რომელიც კაბა-ჯუბაზე აქვე ამოქარვული, სხვაგან არსად გხვდება, არადა, მათ კულტურაში დიდი

მერაბ კოკოჩაშვილი:

აკითხველი

„ქალიან მიყვარს თანამედროვე ქართული ლიტერატურა“



— ბატონო მერაბ, ლიტერატურის შესახებ ხშირად ვსაუბრობ რეჟისორებთან, რადგან ვფიქრობ, რომ ლიტერატურა მჭიდროდაა დაკავშირებული კინოსთან, თეატრთან, თითქოს გადაჯაჭვულიც კია. როცა რომელიმე ლიტერატურული ნაწარმის ეკრანიზაციასთან ან პიესის სცენაზე გაცოცხლებასთან გვაქვს საქმე, ეს კავშირი ბუნებრივიცაა. თუმცა ზოგადად — ავტორის წინააღმდეგობა, თითქოს, რაღაცნაირად ავსებს, უფრო მსუყეს ქმნის მის გამოსახველობით ხელოვნებას, წარმოსახვას უმდიდრებს, თვალსაწიერს უფართოვებს. თქვენი გამოცდილება რას გეუბნებათ ამის შესახებ?

— კინო ლიტერატურის გარეშე წარმოუდგენელია. კავშირი მათ შორის განუყოფელია. მოგეხსენებათ, არსებობს თეატრალური დრამატურგია, რომელსაც უზარმაზარი ტრადიცია აქვს, ის ესქილედან და სოფოკლედან მოდის. არის შექსპირი... არის ჩეხოვი — რუსულ ლიტერატურაში, არის პოლიკარპე კაკაბაძე — ქართულ ლიტერატურაში და ასე შემდეგ. არსებობს, ასევე, სასცენარო, კინემატოგრაფიული ლიტერატურა. თუმცა, განსხვავებით თეატრალური დრამატურგიისგან, რომელმაც გარკვეულწილად ლიტერატურული სახე მიიღო, კინოდრამატურგიამ ეს ვერ მოახერხა. ბუნებრივიცაა. კინოდრამატურგია საკითხავი ლიტერატურა არ გახლავთ, მას სცენარის სახე აქვს და განკუთვნილია იმისთვის, რომ რეჟისორმა ფილმი გადაიღოს. აქედან გამომდინარე, განსხვავებები არსებობს.

მინდა გითხრათ, რომ 50-იან წლებში, როცა ახალი ქართული კინო ისახებოდა, მის განვითარებაში განსაკუთრებული როლი სწორედ ლიტერატორებსა და მწერლებს მიენიჭა. ის პერიოდი კარგად მახსოვს. მოსკოვიდან — სადაც ვსწავლობდი — ჩამოვედი და კინოსტუდია „ქართულ ფილმი“ დაიწყო მუშაობა. მაშინ სასცენარო განყოფილებას ახალბედა და ასევე, უკვე ცნობილი ქართველი მწერლები წარმოადგენდნენ. იმხანად კინოსტუდიის დირექტორი ბატონი მიხეილ კვესელავა გახლდათ. მან „ქართულ ფილმი“ ჩვენი მწერლობის საუკეთესო ძალები მოიზიდა. სიმონ ჩიქოვანისა და ძველი თაობის სხვა მწერლებთან ერთად, მუშაობა დაიწყო რეზო ჭიჭილაძემ, რეზო ინანიშვილმა, ნოდარ დუმბაძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა, გურამ ასათიანმა, რეზო თაბუკაშვილმა, აკაკი ბაქრაძემ... რომელი ერთი ჩამოვთვალო! ეს ის ადამიანები იყვნენ, ვისთან ერთადაც, ჩვენ, სრულიად ახალგაზრდა რეჟისორები, საქმიანობას შევუდექით. უდავოა, მათ ბევრი იწრომეს იმისთვის, რომ შეექმნათ მყარი საფუძველი, რომელზეც შემდგომში ქართული კინომატოგრაფია აიგებოდა, ქართული კინო განვითარდებოდა. მაშინ ისინი ლიტერატურულ მოღვაწეობას ინყებდნენ, შემდეგ

კი გამოჩენილ მწერლებად იქცნენ და XX საუკუნის ქართული ლიტერატურა შექმნეს. ასე იყო.

გარდა ამისა, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში შესანიშნავი პედაგოგები გვყავდა. მაქსიმალურად ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მოეცათ ჩვენთვის...

— ბატონო მერაბ, ლიტერატურული ნაწარმების მიხედვით არაერთი ფილმი გაქვთ გადაღებული...

— პირველი ფილმი, რომელიც გადავიღე, ვაჭა ფშაველას „ხმელი ნიფელია“. ინსტიტუტში სწავლისას ეს ჩემი პირველი საკურსო ნამუშევარი იყო. შემდეგ რეზო ინანიშვილთან ერთად ვიმუშავე სცენარზე ფილმისათვის „არდადეგები“, რომელსაც ბატონი რეზო ერთ-ერთი მოთხრობა უდევს საფუძვლად. ამის მერე მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის „მუსუსის“ მიხედვით ფილმი „მიხა“ გადავიღე. იმის თქმა მინდა, რომ ლიტერატურას არ ვცილდებოდი, თუმცა, ცხადია, ის სხვა ენაზე გადაგვიქონდა — ენაზე, რომელსაც კინოენა ჰქვია.

— კინოენაზე გადატანა რას გულისხმობს?

— ერთ შემთხვევაში, სიტყვას ვკითხულობთ. ნაწარმოები რაც უფრო სახიერადაა დაწერილი, მკითხველი მას უკეთ ალიქვამს, უკეთ განიცდის. ეს ცალკე საუბრის თემაა და ლიტერატორებთან, მწერლებთანაა დაკავშირებული. ზოგიერთ ავტორს, მაგალითად, რეზო ინანიშვილს იმდენად სახიერი, ზუსტი ხედვა აქვს, რომ მისი ლიტერატურული ენა კინოს ენაზე იოლად გადასატანია. ზოგიერთი მწერლისა კი — რთულად გადასატანია. კინოენა კიდევ მრავალ სხვა ელემენტს მოიცავს. ესაა სმენითი (ადამიანი საუბრობს), ქმედითი (ადამიანი მოქმედებს), მუსიკალური თუ ხმოვანი ელემენტები. ლიტერატურული ენისგან განსხვავებით (სადაც სიტყვას კითხულობ და შემდეგ წარმოიდგენ), აქ თითოეული ელემენტი — სიტყვა, ქმედება, ფერი, ხმაური, მონტაჟი, რიტმი, ტემპი — თავს იყრის და ერთი ერთი „გესაუბრება“. აქედან გამომდინარე, კინოსცენარი უკვე გარკვეულ ჟანრად ჩამოყალიბდა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ის ყველაფერი, რაზეც ახლა ვისაუბრე.

— ლიტერატურა ყველა სახის ხელოვნებაზე ახდენს გავლენას...

— ლიტერატურა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ-ერთი პირველი ხელოვნებაა. ლიტერატურული ნაწარმოებები ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელებისა და შუმერების ეპოქაში შეიქმნა. პირველი ლიტერატურული ნაწარმოები სწორედ შუმერული ლურსმული დამწერლობის ნიმუშია. თავდაპირველად, დამწერლობით მხოლოდ ცნებას გამოხატავდნენ; შემდეგ, ცნებასა და ბგერას — ერთდროულად. ცალკეული ბგერის გამოყოფა კი, თავდაპირველად, ფინიკიელებმა მოახერხეს.

სტუმრად ვარ ბატონ მერაბ კოკოჩაშვილთან. იგი ერთ-ერთია იმ რეჟისორთაგან, რომელთა შემოქმედებაც ნასაზრდოებია და შეიძლება ითქვას, გაყენებულია ქართული ლიტერატურით. კინოხელოვნებას სრულიად საკავშირო სახელმწიფო კინომატოგრაფიის ინსტიტუტში, შიროკოვის სახელოსნოში დაეუფლა, კინოსარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი იყო. თუმცა საბჭოთა ცენზურამ სადიპლომო ფილმის, „მიხას“ გადაღების საშუალება არ მისცა; მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოახერხა გადაეღო სურათი, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი მოთხრობის, „მუსუსის“ მიხედვით შეიქმნა. ამის შესახებ, ოდნავ მოგვიანებით, თვითონვე გვიამბობს...

მერაბ კოკოჩაშვილის ფილმოგრაფია მდიდარი და ჟანრობრივად მრავალფეროვანია. მის მიერ გადაღებული მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები — „სახლი სიხარულისა“, „ქართველი მამლუქები იერუსალიმში“, „თუ დაგივინყო, იერუსალიმი“, „ნუცას სკოლა“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო“, „დიდი მწვანე ველი“, „არდადეგები“ და სხვა — გამორჩეული, შეიძლება ითქვას, ნატიფი ხელნერის გამო, სხვა რეჟისორთა ნამუშევრებში არასოდეს აგერევა. მისი ფილმების პერსონაჟები ძალიან ადამიანურები, ბუნებრივები, სახასიათონი არიან. და კიდევ — შინაგანი ტრაგიკის მატარებელიც. ალბათ ისევე, როგორც თითოეული ადამიანი.

ის საუბრობს ლიტერატურაზე, როგორც ხელოვნების უპირველეს, უძველეს დარგზე. საუბრობს ლიტერატურის კავშირზე კინოსთან. იხსენებს მის თანამედროვე მწერლებსა და უფროსი თაობის დიდ ავტორებს. ყველა მათთან მეგობრობაზე, შემოქმედებით ურთიერთობებზე. ვამჩნევ, რომ ძალიან ჩუმად, თითქოს ჩურჩულით მესაუბრება. ვფიქრობ, ალბათ ოჯახის რომელიმე წევრი ავადა-მეთქი. ბოლოს, ბატონი მერაბი ამბობს: „კი მაგრამ, ასე ხმადაბლა რატომ ვლაპარაკობ?“ და თვითონვე პასუხობს: „ალბათ იმიტომ, რომ ლიტერატურის მიმართ დიდი მონივნით ვარ“...

გაჩნდა ასო-დამწერლობა და ამას დიდი ლიტერატურის შექმნა მოჰყვა.

ლიტერატურა შემოქმედების იმდენად უძველესი ფორმაა, რომ ბუნებრივია, ყველა სახის ხელოვნებაზე ახდენს გავლენას. ამ შემთხვევაში მუსიკას, ცეკვას, პლასტიკას არ ვგულისხმობ, მას აბსოლუტურად სხვა ენა აქვს. თუმცა, როცა ამა თუ იმ შემსრულებლის სიმღერას ან ცეკვას ლიტერატურული ენით გადმოსცემენ მათი სიკვდილის შემდეგ, ის დიდი შემოქმედება არ ქრება და გარკვეული წარმოდგენა მაინც გვექმნება მათ ხელოვნებაზე. ასეა თუ ისე, ლიტერატურას უდიდესი ზეგავლენა აქვს და ეს იმდენად მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია, რომ მის გარეშე კინოხელოვნება ვერ იარსებებს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული!

— დღეს ბევრი საშუალება არსებობს, რომ მოვლენები, ადამიანები და საერთოოდ, ყველაფერი, რაც გინდა — აფიქსირო.

— კინოკამერა, ვიდეოკამერა ძალიან მიუახლოვდა თვალს. აგერ, მობილურებით ვსარგებლობთ და შეგვიძლია აუარებელი რამ დავაფიქსიროთ, როგორც სტატიკით, ისე მოქმედებაში. ალბათ, მერე და მერე, ტექნიკური საშუალებები კიდევ უფრო განვითარდება. მიუხედავად ამისა, ლიტერატურა მაინც საფუძვლად ჩაჩება. მართალია, ნანახსა და მოსმენილს სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებით აფიქსირებ და ასე ინახავ, მაგრამ ლიტერატურა მეტის საშუალებას გაძლევს. შეგიძლია დღიურები წერო, რაღაცები ჩაინიშნო და ამ გზით საკუთარი მრავალმხრივი დამოკიდებულება შექმნა, გაიაზრო, განიცადო ყოველივე. გარკვეული დროის შემდეგ კი, როცა იმ რამდენიმე სიტყვას ჩახვდავ, თვალწინ გავიცოცხლებდები მთელი გარემო თავისი ფერებით, ხმოვანებით, ქმედებით, ხმაურით, განწყობით... იმისათვის, რომ განცდების დაბრუნება მოახერხო, აუცილებლად გჭირდება ჩანერა, დაფიქსირება. მითუმეტეს, როცა საქმე კინოს ეხება. მოგეხსენებათ, კინოკოლექტიური ხელოვნებაა, რეჟისორთან ერთად მუშაობენ მწერალი, მხატვარი, ოპერატორი, მსახიობი, კომპოზიტორი, ასისტენტები... მათ უნდა გადასცე ყველაფერი, მთელმა კოლექტივმა შენთან ერთად უნდა გაიაზროს ყოველივე, მათშიც უნდა დაიბადოს ის განცდა, რაც შენ გაქვს. ამის გარეშე შეუძლებელია, რაიმეს მიაღწიო.

— კინოდრამატურგიამ, თუ შეიძლება ითქვას — კინოსცენარის ლიტერატურამ, რამდენიმე პოპოვა განვითარება დღევანდელ რაობაში?

— მინდა გითხრათ, რომ დღეს ძალიან ცოტა დრამატურგი გვყავს, თითო-ორო-ლას თუ ჩამოვთვლით. როცა მე ვინყვები, გაცილებით ბევრი იყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენთან დრამატურგიული სკოლა არ შეიქმნა. თუმცა თანამედროვე მწერლობის სკოლა არსებობს და ბევრი საინტერესო ახალგაზრდა მწერალი გვყავს. ძალიან მიყვარს თანამედროვე ლიტერატურა. ახალგა-

ზრდები სხვა თვალით ხედავენ სინამდვილეს, იმას, რაც მათი განცდილია — ეს არის სკოლა, თანატოლებს შორის ურთიერთობები, ჟარგონი, ქმედება, სინდისი თუ უსინდისობა, მორალი თუ ამორალიზება, ინტერესები, ბრძოლა, უკანდახვევა, ემ-მაკობა, ელასტიურობა თუ შეურთველი დაპირისპირება — ამ ყველაფერს ისინი თავისებურად გრძობენ. ძალიან მომწონს და მიყვარს ჩემს სტუდენტებთან ურთიერთობა, იმიტომ, რომ ბევრ რამეს სხვანაირად ვიგებ, ვხედავ.

რა არის ის, რაზეც დღევანდელი ავტორები უნდა დაფიქრდნენ? — ისევ 50-იან, 60-იან, 70-იან წლებს დავუბრუნდები. გავიხსენებ დროს, როცა ჩვენი შესანიშნავი ახალი მწერლობა შეიქმნა. ...ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ რჩეულიმივილი, გურამ გეგეშიძე, რეზო ჭიჭილაძე, რეზო ინანიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, ნოდარ დუმბაძე... რომელი ერთი დავასახელო. რა იყო მათში ისეთი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მწერლისთვის? ისინი ხედავდნენ ადამიანს, მის სულს უღრმად ვხედავდნენ. ადამიანის გარეშე ხომ ხელოვნება არ არსებობს? მაშინაც კი, როცა ანიმაციაში მუშაობ, სკამი იქნება თუ კარადა — ადამიანური თვისებები უნდა შესძინო. დისნეის ხელოვნება, პირველ რიგში, ცხოველების გაადამიანურებაა, ცხოველებში ადამიანობის ჩადებაა. სხვანაირად მისი გმირები ჩვენში ასეთ ემოციას არ გამოიწვევდნენ. ისევ ჩვენს მწერლებს დავუბრუნდები — ვფიქრობ, ერთ-ერთი უმთავრესი, რაც იმ პერიოდის ლიტერატურაში ჩანდა და დომინირებდა, სწორედ ადამიანის, ქართველის განუწყვეტელი ბრძოლა იყო დამოუკიდებელი აზროვნების, ქმედებისა და არსებობისათვის. და ეს ბრძოლა იქნდა უფრო დიდ მასშტაბს, რაც ქვეყნისა და საერთოდ, პიროვნების თავისუფლებას გულისხმობდა. ეს საყოველთაო მასშტაბები — მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქას შეეხებოდა ნაწარმოები — იმ თაობის მწერალთა შემოქმედებაში ძალიან საინტერესოდ გამოიკვეთა: „დათა თუთაშხია“, ოთარ ჭილაძის რომანები, გურამ გეგეშიძის არაჩვეულებრივი პროზა, გურამ რჩეულიმივილის საოცარი დაკვირვებები მის თანამედროვეზე, გურამ დოჩანაშვილის ფილოსოფიური ჩაღრმავებები...

— ბატონო მერაბ, საუბარი ახალგაზრდა მწერლებით დასრულდა... მაინც რა არის ის, რაზეც თანამედროვე ავტორები უნდა დაფიქრდნენ?

— ახალგაზრდა მწერლები, რომელთა კითხვაც ძალიან მიყვარს — გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ, ვინმეს რომ არ ეწყინოს — ძალიან ზუსტად ხედავენ თავის თანამედროვეს. ამაზე უკვე ვისაუბრეთ. თუმცა, ჯერჯერობით, წინა თაობის მწერლებისგან განსხვავებით, მათ ვერ მოახერხეს ის, რის გარეშეც დიდი

პროლოგი

„სამი სამოდვრეობი ნოველა და ერთი პროლოგი“? ამავე მოსაზრებით შემდეგლო ეს წიგნი ასეც დამსათაურებინა: „ოთხი სამოდვრეობი ნოველა!“ ოთხი? რატომ ოთხი? იმიტომ, რომ ეს პროლოგიც ნოველაა. კარგად გამიგეთ, ნოველა-მეთქი და არა ნივოლა! სწორედ, ნოველა!

რაც შეეხება სიტყვას ნივოლა, როგორც მოვინათლე ჩემი ნოველა — მერედა რა ნოველა! — „ბურუსი“ და იქვე, 275-ე გვერდზე კიდევ განვმარტე, — პირდაპირ ხსნა იყო ჩემი... — კრიტიკოსებისთვის? — მკითხავთ. კეთილი, დაე, ასე იყოს, კრიტიკოსებისთვის. ისინი მყისვე ჩააფრინდნენ ამ სიტყვას, რამეთუ ეს ხელს აძლევდა მათ გონებრივ სიზანტეს. გონებრივი სიზანტე კი, ანუ უცნობის განსჯა ნაცნობის ხარჯზე, იმათი ნიშან-თვისებაა, ვინც კრიტიკოსობაზე დებს თავს.


ამ პროლოგში კიდევ არა ერთხელ მივუბრუნდებით — გნებავთ ნოველა დაარქვით, გნებავთ — ნივოლა, ნივოლისტიკის საკითხს. მივუბრუნდებით-მეთქი რომ ვამბობ და თან ასე საზეიმოდ ვაცხადებ, ამასთან, პირველ პირში, მრავლობით რიცხვში ვლაპარაკობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ორნი ვართ, შენ, მკითხველო, და მე. ჰოდა, აკი გამოდის კიდევ ჩვენ, მაშასადამე, მივუბრუნდებით. ახლა ზოგიერთი რამ სიტყვა სამოდვრეობის თაობაზეც.

სამოდვრეობი? რატომ სამოდვრეობი? მიგელ დე სერვანტესმა სამოდვრეობი უწოდა ნოველებს, რომლებიც გამოაქვეყნა თავისი კიხობის შემდეგ, რადგან პროლოგში გვეუბნება: „მათ შორის ვერც ერთ ნოველას ვერ ნახავთ, საიდანაც რაიმე სასარგებლო მოდვრეობა ვერ გამოიტანოთ“. მერე კი დასძენს: „ჩემი მიზანი იყო, ჩვენი ქალაქის ფართო მოედანზე ერთგვარი ბურთის საგორებელი მაგიდა დამედგა ისე, რომ ყველას, ვისაც კი გართობა მოუნდებოდა, მისულიყო, თავიც შეეცვია და ამასთან, არც, ასე ვთქვათ, ვნება მიეყენებინა სულსა და ხორცისთვის, რამეთუ წესიერი და სასიამოვნო გართობა უფრო სასარგებლოა, ვინემ საზიანო“. მერე განაგრძობს: „დაიხ, არცა ტაძრებსა და სამლოცველოებში დავდივართ მუდამ-ჟამს, არცა საქმეებს ვეჭიდებით დღენიდაც, რაგინდ საშური იყოს; დგება ხოლმე საათი ხელახლა ქმნისა თუ ნეტარებისა, როცა მოდლილი სული ისვენებს; სწორედ ასეთ ჟამს ჭრიან ხოლმე ხეივანებს, ეძებენ წყაროებს, მოასწორებენ ბორცვებსა და აშენებენ საოცარ ბალებს“. მერე კვლავ დასძენს: „გავთამამდები და ვიტყვი: თუკი ამ ნოველების კითხვა ასე თუ ისე ავ სურვილებსა და აზრებს აღუძრავს ჩემს მკითხველს, უმაღ ხელს მოვიჭრიდი, რომლითაც ისინი დავენერე, ვინემ მათ გამოვაქვეყნებდი; უკვე იმ ასაკს მივატანე, როცა საიქიოსთან ხუმრობა აღარ გამომადგება, რამეთუ ჩემს ორმოცდათხუთმეტ წელს კიდევ ცხრაც მივუმატე და გვარიანი სწეულებებიც ავიკიდე“.

აქედან კი შეიძლება დავასკვნათ: პირველი, რომ სერვანტესი თავის ნოველებში უფრო ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილებისთვის ზრუნავდა, ანუ იმისთვის, რასაც დღეს ესთეტიკას ვუწოდებთ, ვინემ მორალისთვის; ამასთან, უნდოდა შეეხებოდა ხელახლა ქმნის საათებში, როცა ჩვენი მოდლილი სული ისვენებს; მეორეც, სამოდვრეობი მათ მხოლოდ მას შემდეგ დაარქვა, როცა უკვე დაწერილი ჰქონდა, მეც სწორედ იგივე დამემართა. ჯერ ნოველები დავენერე და მერე პროლოგი წავუშმდვარე, ისევე როგორც ჯერ ენა შეიქმნა და მერე გრამატიკა, მას რომ მართავს და აწესრიგებს, ანდა როგორც მორალური დოქტრინა შეიქმნება ხოლმე მას შემდეგ, რაც უკვე ჩადენილია რაიმე კეთილი თუ ბოროტი საქციელი და მერედა მიუსადაგებენ გამზადებულ დოქტრინას; და ეს პროლოგიც, გარკვეული აზრით, სხვა ნოველაა, ჩემი ნოველების ნოველა და, ამასთან, ჩემი ნოველისტიკის ახსნაც, ანდა, თუ გნებავთ, ნივოლისტიკისა.

და ამ ნოველებს მეც სამოდვრეობის ვუწოდებ, რამეთუ მათში გთავაზობთ ჭკუის სასწავლებელ მაგალითებს — ხოლო ამ სიტყვების მნიშვნელობის შესაბამისად — ცხოვრებისა და რეალობის მაგალითებსაც.

რეალობისას! დაიხ, რეალობისას! მისი აგონისტიკები, ე.ი. მებრძოლები — ანდა, თუ გნებავთ, დავარქვათ მათ პერსონაჟები — რეალურები არიან, ყველაზე უფრო რეალურები, უფრეალურესები — ყველაზე უფრო შინაგანი რეალურობით ქმნილი, რასაც ისინი თავიანთ თავს მიაკუთვნებენ წმინდა სურვილით, რომ იყვნენ, ანდა წმინდა სურვილით, რომ არ იყვნენ ასეთები და არა იმ ნიშნით, რასაც მათ მკითხველები მიანერენ.



მიგელ დე უნამუნო

„სამი სამოდვრეობი ნოველა და ერთი პროლოგი“

ლიტერატურულ ხელოვნებაში რეალიზმად წოდებულ სიტყვაზე უფრო ორაზროვანი არაფერი მახსენდება; და აი, რატომ: მაინც რა რეალობა იგულისხმება ამ რეალიზმში?

სინამდვილეში, ეს ეგრეთ წოდებული რეალიზმი წმინდა გარეგნული, მოჩვენებითი, ლამის სალანძღავი და ანეკდოტური რამაა და უფრო ლიტერატურულ ხელოვნებას განეკუთვნება, ვინემ პოეტურსა თუ შემოქმედებითს. ყოველ პოემაში, ხოლო საუკეთესო ნოველებში პოემებია, ყოველ ქმნილებაში, რეალობა სულაც არ არის ის, რასაც კრიტიკოსები რეალიზმს უწოდებენ. ყოველ ქმნილებაში რეალობა არის შინაგანი, შემოქმედებითი და ნებისაგან მომდინარე. პოეტი კი თავის ქმნილებებს — ცოცხალ ქმნილებებს — ეგრეთ წოდებული რეალიზმის ხერხით როდი ქმნის. რეალისტების მიერ შექმნილი ფიგურები მუდამ გადაცემული მანეკენები გახლავთ, რომელთაც თოქებით ამოძრავებენ, გულში ფონოგრაფი უძევეთ და მარტო იმ ფრაზებს იმეორებენ, რაც მათსე პედრომ აკრიფა ქუჩებში, მოედნებსა თუ დუქნებში და თავის დავთარში აღწუსსა.

როგორია ეს შინაგანი რეალობა, რეალური რეალობა, მარადიული რეალობა, ადამიანის პოეტური თუ შემოქმედებითი რეალობა, იქნება ეს ადამიანი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი, თუ, ასე ვთქვათ, წარმოსახვის ნაყოფი, რაც ერთი და იგივეა, რამეთუ დონ კიხოტე ისეთივე რეალურია, როგორც სერვანტესი, ჰამლეტი და მაკბეტი, როგორც შექსპირი, და, ჩემი აუგუსტო პერესი შესაძლოა მართალიც გახლდათ, როცა მითხრა — ეს ჩემს რომანშიც ვთქვი და, მერე როგორ რომანში! — „ბურუსი“, გვერდი 358 და 359 — ვითომ მე მისიცა და სხვათა ამბებიც, მათ შორის, თვითონ ჩემიც, მხოლოდ საბაბად გამოვიყენე, რომ ქვეყნიერებისთვის მემ-

ცნო...
რა არის ყველაზე უფრო შინაგანი? ყველაზე უფრო შემოქმედებითი, ყველაზე უფრო რეალური ადამიანისთვის? აქ მე მინდა კვლავ მოვუხმო ოლივერ უენდელ ჰოლმისის მეტად მახვილგონივრულ თეორიას, რასაც თავის წიგნში „საუზმის მაგიდის თვითმპყრობელი III“ — გვთავაზობს სამი ხუანისა და სამი ტომასის მაგალითზე. და აი, რას გვეუბნება: როცა საუბრობენ ორნი — ხუანი და ტომასი, საუბარში ექვსი პიროვნე-

ოფნა. და ეს ერთიანად ახასიათებს რეალურ ადამიანსაც, სისხლისა და ხორცისგან ქმნილს და რეალურ პიროვნებასაც, რომელმაც ჰპოვა განსახიერება ნოველისტურ თუ ნივოლისტურ გამოწვევებში. არიან გმირები, რომელთაც სურთ არყოფნა, უსურვილო ადამიანები.

მაგრამ სანამ შემდეგზე გადავიდოდეთ, თავს ვალდებულად ვრაცხ, ავიხსნათ, რომ სულაც არ არის ერთი და იგივე, გასურდეს არყოფნა და არ გასურდეს ყოფნა.

ფაქტობრივად არის ოთხი პოზიცია და, აი, როგორი: ორი დადებითი: ა) გასურდეს ყოფნა; ბ) გასურდეს არყოფნა; და ორი უარყოფითი: გ) არ გასურდეს ყოფნა; დ) არ გასურდეს არყოფნა, ასევე შეიძლება, გნამდეს, რომ არის ღმერთი, გნამდეს, რომ არ არის ღმერთი; არ გნამდეს, რომ არის ღმერთი და არ გნამდეს, რომ არ არის ღმერთი. და ისევე, როგორც — გნამდეს, რომ არ არის ღმერთი, იგივე არ არის, რაც არ გნამდეს, რომ არის ღმერთი; ასევე გასურდეს არყოფნა, იგივე არ არის, რაც არ გასურდეს ყოფნა. ის, ვისაც არ სურს ყოფნა, ძნელად განსახიერდება პოეტურ ქმნილებაში, ნოველაში; მაშინ, როცა ის, ვისაც სურს არყოფნა, განსახიერდება და ის, ვისაც სურს არყოფნა, არ არის, ცხადია, თვითმკვლეელი.

იმას, ვისაც სურს არყოფნა, შეიძლება ისურვოს ყოფნა.

რაო? ეგებ ეს ყველაფერი აბდაუბდად მოგეჩვენათ? მაშ, თუ ასეა და ეს თქვენ აბდაუბდად გეჩვენებათ და არც ძალგით, არათუ უბრალოდ გაიგოთ, არამედ უფრო იგრძნოთ და იგრძნოთ მთელი გზებით და ტრაგიკულად, ვერასოდეს შეძლებთ შექმნათ რეალური არსებები, მით უმეტეს, ვერასოდეს შეძლებთ დატკბეთ ვერც ერთი ნოველით, თუნდაც ეს თქვენივე ცხოვრების ნოველა იყოს, რამეთუ ცნობილია, რომ ხელოვნების

ბა მონანილეობსო:
სამი ხუანი
1. რეალური ხუანი, რომელსაც იცნობს მხოლოდ შემოქმედი;
2. იდეალური ხუანი ხუანისა, რომელიც სულაც არ არის რეალური და ხშირად მისგანაც განსხვავდება.
3. იდეალური ხუანი ტომასისა, რომელიც სულ არ არის რეალური ხუანი, არც ხუანის ხუანი, პირიქით, ხშირად ორივესგან საკმაოდ განსხვავდება კიდევ.

სამი ტომასი
1. რეალური ტომასი.
2. იდეალური ტომასი ტომასისა.
3. იდეალური ტომასი ხუანისა.
ანდა, ასე ვთქვათ, პიროვნება, როგორიც თვითონ წარმოუდგენია და პიროვნება, როგორიც წარმოუდგენია სხვას. და ოლივერ უენდელ ჰოლმისი ამის მიხედვით მსჯელობს თითოეული მათგანის მნიშვნელობაზე.

მაგრამ მე, ინტელექტუალური იანკის, უენდელ ჰოლმისისგან განსხვავებით, სხვა გზას ავირჩევ და ვიტყვი, რომ იმის გარდა, ვინც უფალი ღმერთის წინაშე წარსდგება — თუკი, საერთოდ, ვინმე წარსდგება მის წინაშე, და იმის გარდაც, ვინც წარსდგება სხვათა წინაშე და კიდევ იმის გარდაც, ვინც წარსდგება საკუთარი თავის წინაშე, არის ისიც, ვისაც უნდოდა, რომ ეარსება და ის, ვისაც უნდოდა, რომ ეარსება, არის მასში, მის გულში შემოქმედი და ის არის ჭეშმარიტად რეალურიც. ჩვენი გადარჩენა, ან დაღუპვა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რანი ვიყავით, არამედ იმაზე, თუ რანი გვინდოდა, რომ ვყოფილიყავით. ღმერთი წყალობს, ან სამუდამო სატანჯველად გასწირავს ადამიანს იმისათვის, თუ რა უნდოდა, რომ ყოფილიყო მას.

ახლა ნურც ის დაგვაინყუდება, რომ არიან ისეთებიც, რომელთაც სურთ ყოფნა და ისეთებიც, რომელთაც სურთ არყოფ-

ნანარმოები ტკობას განგვაცდევინებს იმიტომ, რომ მას ვქმნით ჩვენში, ხელახლა ვქმნით და ჩვენც მასთან ერთად გარდავიქმნებით. და ამიტომ იყო, რომ სერვანტესი თავისი „სამოდვრეობი ნოველები“ პროლოგში ლაპარაკობდა „ხელახლა ქმნის საათებზე“, და მე მის ლიცენციატ ვიდრიერასთან ერთად გარდავიქმენი, როცა ვქმნიდი ჩემში და გარდავიქმენი საკუთარ თავსაც მასთან ერთად. ლიცენციატი ვიდრიერა მე თვითონ გავხდი.

ერთი სიტყვით, შევეთანხმდით, მე მგონია, შევეთანხმდით, რომ... — ადამიანი არის ყველაზე უფრო რეალური — Realis, ყველაზე უფრო მოქმედი — res, ყველაზე უფრო მატერიალური; ან, როგორც იტყვიან უფრო დიდი ნამქველებელი. — არსებობს მხოლოდ ის, ვინც მოქმედებს — ეს არის ის, ვისაც სურს ყოფნა, ანდა ის, ვისაც სურს არყოფნა, ესე იგი, შემოქმედი. მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ, კანტის მიხედვით, ნოუმენალური, ადამიანი ნებისა და იდეალის მატარებელი — იდეა — ნებისა, ანდა ძალისა — უნდა ცხოვრობდეს ფენომენალურ, მოჩვენებით, რაციონალურ სამყაროში, ეგრეთ წოდებული რეალისტების სამყაროში; და მან ცხოვრება უნდა განიცადოს ვითარცა სიზმარი, რამეთუ ცხოვრება არის სიზმარი. და აქედან, ამ რეალურ ადამიანთა ერთიმეორესთან შეჯახების შედეგად წარმოიშვება ტრაგედია და კომედია, ნოველაცა და ნივოლაც, რამეთუ რეალობა არის შინაგანი, რეალობა არ შეიძლება შეიქმნას არც სოფიტებით, არც დეკორაციებით, არც ტანისამოსით, არც პეიზაჟებით, არც ავეჯით, არც რემარკებით, არც...

შეადარეთ სეზიმუნდო დონ კიხოტეს, ეს ორი, ვისთვისაც ცხოვრება არის სიზმარი. დონ კიხოტეს ცხოვრებაში რეალობას წარმოადგენს ქარის წისქვილები კი

არა, არამედ გოლიათები. ქარის წისქვილები რაღაც ფენომენალურია, მოჩვენებითი, გოლიათები კი — ნოუმენალური და სუბსტანციური. სიზმარია მხოლოდ ცხოვრება, რეალობა, შემოქმედება. თვით რწმენა, წმინდა პავლეს თანახმად, სხვა არა არის რა, თუ არა საგანთა სუბსტანცია, რომელსაც ველოდებით და ეს იმედი არის კიდევ სიზმარი; და რწმენა არის წყარო რეალობისა, რამეთუ ეს არის ცხოვრება, რწმენა, არის ქმნა.

განა „ოდისეა“, ეს ეპოპეა — რომელიც არის ნოველა და ნოველა რეალური, მეტისმეტად რეალური — ნაკლებად რეალურია, რაკი მასში საოცარი სიზმრებია ნაამბობი, რომელთაც რეალისტი მწერალი თავის ხელოვნებაში არც კი გააჩაჩანებდა?

დინს, უკვე ვიცი, რა სიმღერასაც წამოიწყებენ კრიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე ჩემს ნივთს ჩააფრინდნენ, ესაო და თეზისების ნოველებიაო, ფილოსოფიურიო, სიმბოლური, პერსონიფიცირებული, კონცეფციები, დიალოგიზებული ესეებიო და ვინ იცის, კიდევ რა...

მაშ კარგი, ადამიანი, თანაც რეალური ადამიანი, რომელსაც სურს არყოფნა, არის სიმბოლო და სიმბოლოსაც შეუძლია გახდეს ადამიანი. იგივე ემართება კონცეფციასაც. კონცეფცია შეიძლება გახდეს პიროვნება და მჯერა, რომ ჰიპერბოლის შტოს — დიხაზს სურს — სურს! — შეეხოს თავის ასიმპტოტას და კი ვერ სწვდება მას, და გეომეტრი, რომელიც იგრძნობდა ჰიპერბოლის ამ უიმედო სურვილს, მიეღწია თავისი ასიმპტოტისთვის, წარმოგვიდგინდა ამ ჰიპერბოლას, ვითარცა პიროვნებას და ტრაგიკულ პიროვნებას. და მჯერა, რომ ელიფსს სურს ჰქონდეს ორი ფოკუსი და მჯერა ნიუტონის ბინომის ტრაგედიისა თუ ნოველისა, ოღონდ კი არ ვიცი, თავად ნიუტონი თუ გრძნობდა ამას.

კრიტიკოსები კი ყველაფერ ამას წმინდა კონცეფციებს, ანდა გამოგონილ არსებებს ეძახიან!

გარწმუნებ, მკითხველო, რომ თუ გაუსტავ ფლობერი გრძნობდა, როგორც ამბობენ, მონამვლის სიმპტომებს, როცა აღწერდა, ან როგორც იტყვიან, ქმნიდა ემა ბოვარს, რომანში, რომელიც მიჩნეულია რომანებისა და თანაც რეალისტური რომანების ნიმუშად, — ასევე, როცა ჩემი აუგუსტო პერესი ჩიოდა ჩემს წინ, უფრო სწორად, ჩემში, „სიცოცხლე მსურს, დონ მიგელ, სიცოცხლე მსურს“, — „ბურუსი“, გვერდი 359, — მეც ვგრძნობდი,

რომ მასთან ერთად ვკვებობდი.

„იმიტომ, რომ აუგუსტო პერესი შენ თვითონა ხარ!“ — მეტყვიან — მაგრამ არა! საქმე ის არის, რომ ყველა ჩემი პერსონაჟი, ყველა აგონისტი, რომელიც კი შემოქმენია, საკუთარი სულიდან მყავს ამოზიდული, ჩემი შინაგანი რეალობიდან — რაც არის მთელი ხალხი — მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი მე თვითონა ვარ. მაშინ თავად ვილა ვყოფილვარ? ვინ ყოფილა ის, ვინც აწერს მიგელ დე უნ-ამუნოს სახელს? მაშასადამე... ერთი ჩემი პერსონაჟთაგანი, ერთი ჩემი ქმნილებათაგანი, ერთი ჩემი აგონისტი თავიდან და ეს ჩემი „მე“, ინტიმური და უმაღლესი, ეს ტრანსცენდენტური, ან იმანენტური „მე“ ვილა ყოფილა? უფალმა უწყის... ეგებ თავად უფალიც კი...

და ახლა უნდა გითხრათ, რომ ეს ბინდ-ბუნდოვანი პერსონაჟები — არც შუალა-მისანი და არც შუალისანი, რომელთაც არ სურთ ყოფნა და არც სურთ არყოფნა, არამედ შეიძლება მართო, ან თან გაიყოლო — რომ ეს ყველა პერსონაჟი, რომელთაც აავსეს ჩვენი ესპანეთის თანამედროვე რომანები, ყველა იმ თავისი წვრილმანებით და, რომლებიც გამოირჩევიან იმ თავიანთი აჩემებული ფრაზებითა და ტიკებითა თუ შესტებით, არ წარმოადგენენ პიროვნებებს თავისი უმაღლესი მნიშვნელობით, არც გააჩნიათ შინაგანი რეალობა. არ არის ნუთი, როცა მათ შეიძლება გაგისხნან გული და გაამიშვლონ თავიანთი სული.

ჭეშმარიტი ადამიანი შეიძლება აღმოაჩინო და შექმნა ერთი ნუთის, ერთი ფრაზის, ერთი შეძახილის მიხედვით, ასეა შექსპირთან, და მერე, როცა უკვე აღმოაჩინეთ, შექმნით მას, თქვენ უკეთ იცნობთ მას, ვიდრე თვითონ იცნობს თავის თავს.

თუ შენ, მკითხველო, გასურს შექმნა ხელოვნებისთვის პიროვნებები, ტრაგიკული აგონისტიები, კომიკური ან ნოველისტური, ნუ დაახვავებ დეტალებს, ნუ გამოეკიდები გარშემო მცხოვრები ადამიანების გარეგნული თვისებების შესწავლა — დაკვირვებას, მაგრამ ურთიერთობა კი გქონდეს მასთან, თუ შეგიძლია, კიდევ ნააქმეზე, მაგრამ ყველაზე მეტად კი უნდა გიყვარდეს ისინი და იმედი გქონდეს, დადგება დღე — ანდა, შეიძლება სულაც არ დადგეს — და ისინი გაგისხნიან სულის ყველა სამალავს და გაგიშვლებენ, თუ რანი უნდოდათ, რომ ყოფილიყვნენ, თუნდაც ერთი წამოძახილით, ერთი საქციელით, ერთი ფრაზით, და მაშინ, ხელდან არ გაუშვას ის ნუთი, ალბეჭდე იგი შენში, აცადე ამ ჩანასახს გაღვივდეს და იქცეს ჭეშმარიტ პიროვნებად, ისეთ

პიროვნებად, რომელიც იქნება ნამდვილად რეალური, და მაშინ, შეიძლება შენს მეგობარ ხუანზე, ან შენს მეგობარ ტომასზე უკეთესადაც მიხვდე, თუ რა სურდა, რომ ყოფილიყო ტომასს, ანდა რა სურდა, რომ ყოფილიყო ხუანს, თუ რა სურდა ორივე მათგანს, რომ არ ყოფილიყო.

ბალზაკი არ იყო ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა საზოგადოების ცხოვრებით, იგი არ კარგავდა დროს, რომ შეედგინა შენიშვნები, თუ რას ხედავდა, ან რა ესმოდა ადამიანებში და ადამიანებისგან, მთელ ამ სამყაროს იგი თავის თავში ატარებდა.

ყოველ ცოცხალ ადამიანში ძვეს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და წამალი მათი — შვიდი სათნოება: ამპარტავნებას — სიმდაბლე, ანგარებას — მონყალება, სიძვას — უმანკობა, მრისხანებას — სიმშვიდე, ნაყოფანებას — მარხულობა, შურს — სიყვარული, მიმომწვლილველობას — სასოება, და მას შეუძლია თავისი თავიდან ერთნაირად ამოზიდოს ტირანიცა და მონაც, ბოროტმოქმედიცა და წმინდანიც, აბელიცა და კაინიც.


მე არ ვამბობ, ვითომ დონ კიხოტესა და სანჩო პანსას ერთი წყაროსათავე ჰქონდათ-მეთქი, იმიტომ რომ ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, რაზედაც მეტყველებს დონ კიხოტეს გასანჩოპანსავე და სანჩო პანსას გადონკიხოტება, რაც, იმედი მაქვს, კიდევ დავამტკიცე ჩემს „დონ კიხოტესა და სანჩო პანსას ცხოვრებაში“. თუმცა კი, ალბათ მოიძებნებიან ადამიანები, ვინც მიმითითებს, შენს თხზულებაში გამოყვანილი დონ კიხოტე და სანჩო პანსა სულაც არ არიან სერვანტესის გმირების მსგავსნი; ეს სამართლიანაცაა, იმიტომ, რომ არც დონ კიხოტე და არც სანჩო პანსა მარტო სერვანტესისა და ჩემი კუთვნილებანი კი არ არიან, ისინი ეკუთვნიან ყველას, ვინც კი მათ შექმნის და ხელახლა შექმნის, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი ეკუთვნიან თავიანთ თავს, ხოლო როცა ჩვენ მათ ვჭვრეტთ და ხელახლა ვქმნით, იმ ორ გმირს ვემსგავსებით.

მე არ ვიცი, განსხვავდება კი ჩემი დონ კიხოტე სერვანტესის დონ კიხოტესგან, თუ იგივეა, რაც იყო, მაგრამ მე მის სულში აღმოვაჩინე ისეთი სიღრმეები, რაც არ აღმოუჩენია სერვანტესს, ვინც პირველმა აღმოაჩინა იგი; რამეთუ დარწმუნებული ვარ, რომ, სხვათა შორის, სერვანტესმა ჯეროვნად ვერ შეაფასა, თუ რას ნიშნავდა ცხადად მესიზმრე რაინდისთვის ის მორცხვი და მონიჭებული სიყვარული ალდონსა ლორენსოსადმი. სერვანტესი ვერც სანჩო პანსას გადონკიხოტების მთელ სიღრმეს ჩასწვდა.

ახლა კი შევაჯამებ: ყოველ ცოცხალ ადამიანში ძვეს შვიდი მთავარი სიკეთე და მისი შვიდი საპირისპირო ცოდვა, რაც აძლევს კიდევ საშუალებას სულ სხვადასხვაგვარი აგონისტიების შექმნისას.

საწყალი კაცუნები, ტრაგედიისა რომ ეშინიათ, ადამიანთა ეს საცოდავი ლანდები, რომ კითხულობენ და კი ვერაფერს სწვდიან, კითხულობენ „რათა მოკლან დრო და ამით მარადისობაც — თუკი რომელიმე ტრაგედიაში, ან კომედიაში, თუ ნოველაში, ანდა, თუ გნებავთ, ნივთ-ამიც. მამაკაცს, ნამდვილ მამაკაცს, ან ქალს, ნამდვილ ქალს ნაანყდებიან, უეჭველად ჰკითხავენ საკუთარ თავს: „მაინც საიდან ამოზიდა ავტორმა ეს ყველაფერი?“ ამ კითხვას კი მარტო ერთი პასუხი უნდა გაეცეს: „მხოლოდ არა შენგან!“ და რაკი ავტორს ეს გმირი ამ ნაცრისფერი და უსახო არსებიდან არ ამოუზიდავს, მაშინ არც იმას აქვს აზრი, რომ გააცნო, თუკი ამ გმირში მაინც ვერ ამოიცნობს ადამიანს და არც შერცხვება, მას სიმბოლო ან ალევგორია უწოდოს.

და ეს უსახო არსება, ადამიანის ეს მიწამგვანი, რომელიც ყოველგვარ ტრაგიკულს გაუზრბის, ჩემს მიერ წარმოსახული კი არ არის, როგორც იტყოდა პინდარე, ის უფრო ჩემი წარმოსახვის ლანდია, როგორც იტყოდა ტასო, რამეთუ ის, ვინც მართლაც არის წარმოსახვის ლანდი და ამას კიდევ შეიგნებს, მაშინ დიდ განსჯასაც მიეცემოდა და სურვილიც აღეძვრებოდა ყოფნისა, ან არყ-



ოფნისა, ის თავადვე გახდებოდა ის ტრაგიკული პიროვნება, ვინც თავის თავში აღმოაჩენდა უნარს შექმნა და ხელახლა შექმნა სხვა ტრაგიკული, ანდა კომიკური პერსონაჟები და შეძლება გამხდარიყო ნოველისტიც, ესე იგი, პოეტი და სწორედ ის შესძლებდა დამტკბარიყო ნოველით, ესე იგი, პოემით.

ახლა ცხადა?

ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვწევით, რათა ჩვენსავე ქმნილებებში სინათლე შევიტანოთ, კიდევ ერთი ტრაგედიაა.

მაშ ეს ჩვენი პროლოგიც ნოველა ყოფილა. ეს გახლავთ ჩემი ნოველების ნოველა, დაწყებული ისეთი ნოველებით, როგორცაა „მედიომა ომის დროს“, „სიყვარული და პედაგოგია“, ჩემი მოთხრობები, ისინიც აკი ნოველებია, — „ბურუსი“ და ალბათ ყველაზე ტრაგიკული „აბელ სანჩესი“ და დამთავრებული „სამი სამოდვრებო ნოველით“, რომლის ნაკითხვასაც ახლა აპირებ, ჩემო მკითხველო, თუ ამ პროლოგმა ხალისი არ დაგიკარგა.

ახლა ხომ ხვდები, ჩემო მკითხველო, რატომ ვუნდებ ჩემს ნოველებს სამოდვრებოს! იმედია, სანიმუშო მოძღვრებადაც გამოგადგება!

ვიცი, რომ დღეს ესპანეთში ნოველებს უპირატესად ქალები კითხულობენ, თუმცა არა, ქალები კი არა, მანდილოსნები და ქალიშვილები და ისიც ვიცი, რომ ეს მანდილოსნები და ქალიშვილები ყველაზე დიდი ხალისით საკუთარ სულიერ მამათა მიერ შეთავაზებულ ნოველებს კითხულობენ, ანდა იმას, რასაც ისინი უკრძალავენ, ესე იგი, ან დისტილირებულ ამბებს, ანდა ამკარა პორნოგრაფიას და ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ისინი გაურბიან ყველაფერს, რაც კი მათ აიძულებთ ჩაფიქრდნენ, არა, ისინი გაურბიან ყველაფერს, რაც მათ ალელვებთ, ხოლო ასეთი ალელვება შეიძლება იმიითიც დამთავრდეს, რომ... მაგრამ ამაზე ჯობს გაეჩუმდე!

ეს მანდილოსნები და ქალიშვილები აღფრთოვანებაში მოჰყავს მანკეკუნზე ჩამოცმულ მოღურ კაბას, ანდა ნახევრად შიშველი, ან ნახევრად ჩაცმული სხეულის დანახვას, მაგრამ ამკარა კეთილშობილური სიშიშველე კი აშინებთ. ყველაზე მეტად კი — სულის სიშიშველე.

აი, ასე არსებობს ჩვენი ნოველისტური ლიტერატურაც!

ლიტერატურა... დიას, ლიტერატურა. სწორედ ლიტერატურა. ეს განსაკუთრებული სახის არსებობა, წინადადებათა და მოთხოვნათა, ექსპორტისა და იმპორტის, საბაჟოს კონტროლსა და ნიხრის კანონებს რომ ექვემდებარება.

და აჰა, ბოლოს და ბოლოს, ძვირფასო მკითხველებო, კაცებო და ქალებო, ბატონებო, მანდილოსნებო და ქალიშვილებო, თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს ეს ჩემი სამი სამოდვრებო ნოველა და, თუმცა წინასწარ ვიცი, ამ ნოველების გმირებს თქვენ სიმარტოვისთვის გასწირავთ და აღიარებას არ აღირსებთ, მაინც მწამს, რომ ისინი იცოცხლებენ და ისევე მწამს, როგორც ის, რომ მე ვიცოცხლებ.

როგორ? როდის? სად? მარტო ერთმა ღმერთმა უწყის...



პიკასო. დონ კიხოტე



ალექსანდრე ქურხული

ბ ე დ ი ს ნ ე რ ა

მუტრუკი ვაჟის სანინააღმდეგ არაფერი ჰქონდა, მაგრამ სასიდედროს დახვეწილ გემოვნებას გოგია ვერ მოერგო. „ვარდი უქლოდ ვის მოუკრეფია?“ გოგია იძულებული გახდა, კომპრომისზე წასულიყო და მუქთახორას სახელს აგურის ქარხანაში გაეცქერა. რა თქმა უნდა, ვერც ამ ნაბიჯმა მოიგო უძღვრები სასიდედროს გული. „ახლა რაღა უნდა, იმ ჩემი გადანგრეულ დედაშენს?“ — ნაღვლიანად ჰკითხავდა ხოლმე სატრფოს. როზამ არ იცოდა, რა ეპასუხა.

ერთ წვიმიან ღამეს გოგია თავის ოთახში, ზამბარებიან რკინის საწოლზე გულაღმა, ბნელი ფიქრებით მოსილი იწვა. მოულოდნელად ფანჯარა ჩაიმხსვრა. გოგია წამოხტა და ის იყო ჩამტვრეული ფანჯარიდან თავგაყოფილ დედის გინება უნდა დაეწყო, რომ ქვა გაღვლილ მკერდზე, შიგ გულში მოხვდა და ელვამ წამიერად გაანათა გაღვლილი როზა. გოგიამ ქვემო ვენახში ჩაიყვანა. როზას თბილი წვიმით გაჟღერებული მინის, „ქრასანია მასკვასა“ და ლეინის სუნი ასდოდა...

— თავი ხო არაფრისთვის მიგიტყია?! — გაუბრაზდა ვაჟი.

როზა კისკისებდა.

— ნახე რა, ჯვრივითაა გამაძლარი! სად დაითვრი? — სინაზე შეეპარა ხმაში გოგიას.

— რა მნიშვნელი აქვს?

— რო გეკითხები, აქვს.

— ნათელას დღეობა იყო, მერე ჩემსა, მარანში.

— ხო არა გცივა?

— ცოტა, — უპასუხა როზამ და ჩაეხუტა, — რა უნ ვქნათ? არ ვიცი, არ ვიცი... — გოგიამ იგრძნო, რომ გოგო ტიროდა.

— შენი ვერაფერი გამოგია, ხან იცინი, ხან ტირი, — ეფერებოდა გოგია, — ნამო, ფარდულში შევიდეთ.

იმ ღამეს მოსახდენი არ მომხდრა და საერთოდ, ბედის ჩარხი უკულმა დატრიალდა. მაშინ, როცა გოგიამ კოჭლი რომანას ეშხიანი, მთვრალი ასული ხელში აიტაცა და სიბნელეში ფარდულისაკენ გზას ორიენტაციით მიიკვლევდა, ფანჯრის შუქმა იელვა. ვიღაცამ ხმელი ტოტებისგან მონწილეობა შემოამტვრია და მათკენ დაიძრა. როგორც ძალიან მალე გაირკვა, ეს როზას დედა იყო, ცალ ხელში ფანჯრითა და მეორეში ფინჯით. სასიდედრო მოითხოვდა, როზა დასველო, როზა არნემუნებდა, როგორც კი ხელს გამოშვებ, ფინჯზე წამოგაგებსო. ბოლოს კოჭლი რომანას მეუღლე მძვინვარებისგან ძუ ვეფხვს დაემსგავსა და გოგია მიხვდა, რომ არც საკუთარ შვილს დაინდობდა. სატრფო მინაზე დასვა და გაიქცა. ამას უფრო სტრატეგიული უკანდახვევა ერქვა, რადგან უცბად მოტრიალდა და შეტევაზე წამოსულ სასიდედროს ქვები დაუშინა, ერთ-ერთი მიზანსაც მოხვდა და მომხდურს თავი გაუტტა.

კოჭლმა რომანამ განაცხადა, აუცილებლად დაეცემ თოფსო. მთელმა რაიონმა იცოდა, რომ კოჭლი რომანა სიტყვის კაცია, მათ შორის გოგიამაც და ისევე ცხვარში წავიდა.

მტანჯველი იყო განშორება. გოგია უიბიტაურითა და ცხვრის ჩახრაკულით ებრძოდა კეშანს. ზოგჯერ ბოლომდე მიწებდებოდა და ფანდურზე მძლავრი, მჭახე ხმით მღეროდა:

როცა შენს დალაღებს ქარი შლის, მაგონებ ნესტანს და თამარ ქალს, დედაშენს მოვტაცებ ქალიშვილს, მერე თუნდ ყაჩალი დამარქვან.

სიმღერა ექოდ ედებოდა ცხვრით მოფენილ ფერდობებს და გულს უღონებდა მწყემსებს.

მტანჯველი იყო განშორება როზასთვისაც, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პერიოდი. ზაფხულის მინურულს გამოჩნდა ის: რესპექტაბელური, კომუნიკაბელური კომუნისტი, მეტალურგ-თეორეტიკოსი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ქალაქ რუსთავში ოროთახიანი ბინის მფლობელი და მანქანიანი, ვინმე რეზო.

რეზომ კოჭლი რომანას მეორე სახლი იქირავა, რადგან შვებულებს საქმიანად ატარებდა და ამ რაიონში რკინის მადანს იკვ-

ლევდა. როზამ რეზო პირველად აგვისტოს მცხუნვარე შუადღეს ნახა. სრულიად მელოტი მეტალურგს თავზე მწველი მზის ათინათი დასთამაშებდა, რამაც მაშინვე გოგიას ჟღალი კულულები გაახსენა. თუმცა ეს დაბრკოლებას არ წარმოადგენდა, რადგან პრიალა თავის მიღმა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის მახვილგონიერი ტვინი ფეთქავდა.

როზასთვის რეზო სრულიად ახალი, უკიდევანო და მრავალფეროვანი სამყარო იყო. რეზოსთვის როზა ხუჭუჭა და შავტუხა, მადისლამქრელი, პატიოსანი ოჯახის გოგო. მთავარი როლი კოჭლი რომანას მეუღლემ ითამაშა, რომელმაც მიზნად დაისახა, ახალგაზრდა ინტელიგენტი მისი სიძე გამხდარიყო. რეზოს შვებულების დამთავრებამდე რამდენიმე დღე რჩებოდა, როცა როზას დედამ გადამწყვეტი ზომები მიიღო და ქმართან ერთად ახტალაში გაემგზავრა ტალახით სამკურნალოდ. მოსახდენი ამ შემთხვევაში მოხდა და რეზო რუსთავში გაიპარა.

უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის ყურამდე მიაღწია, რომ კოჭლმა რომანამ განაცხადა: „ვიპოვი და აუცილებლად დავცემ თოფსო.“ რეზოს აღარ გაურისკავს გამოერკვია, რამდენად იყო სიტყვის კაცი კოჭლი რომანა, რადგან პრინციპში, როზა მშვენიერი ცოლი იქნებოდა.

გოგიას გაახსენდა ეს ყველაფერი და გაიფიქრა, რომ ცხოვრება დიდი დედამო...ული რაღაცაა. დასკვნა უფრო მართებული ერქვანა, როცა ავტობუსში ყოფილი სასიდედრო ამოვიდა. როზას დედამაც შეამჩნია და ქედმაღლური, დამცინავი მზერა შეაგება. ამან საბოლოოდ მოშხამა გოგია, ფანჯრისკენ იბრუნა პირი და მთელი გზა არ მოუხედავს. ავტობუსი თბილისს უახლოვდებოდა, რომ მუცლის ავისმომასწავლებელი გვრემა იგრძნო. ჩასვლისას სასიდედროს გვერდით აღმოჩნდა და გოგიამ ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა: „დაგაჯვი“. შემდეგ აუჩქარებელი ნაბიჯით გაშორდა. როზას დედა ნელში გასწორდა, ორივე ხელი მალა აღმართა და უკვე საკმაოდ შორს წასულ გოგიას მჭეკარედ მიაძახა: „აგრემც დაგაჯვი“. გარშემო ყველა გაოგნებული მისჩერებოდა კოჭლი რომანას მეუღლეს, რომელიც გვიან მიხვდა, ამდენ ხალხში რაც გააკეთა.

შურისძიებით კმაყოფილმა და მუცლის გვრემით შეწუხებულმა გოგიამ ბიძაშვილის სამსახურისკენ გასწავლა. კუჭის აშლილობა პიკს აღწევდა, როცა საზოგადოებრივი საპირფარეო შენიშნა. ძნელია, აღწერო სიხარული, რომელიც ბუნებრივი მოთხოვნილებებით განაშებულთა ამ სავანემ გოგიაში აღძრა. მიზანს ორი ნაბიჯიღამ ამორებდა, რომ წინ ფულის ამკრეფი სომხის ქალი გადაელობა და

ხუთკაპიკიანი მოსთხოვა. გოგიამ თუმანი მიანჩა. ის კი მაინც არ უმგებდა და აუჩქარებლად ითვლიდა დასაბრუნებელ ხურდას. გოგიამ სთხოვა, რომ გამოვალ მერე დამიბრუნე, ან საერთოდ შენი იყოსო. „შენი ფული მე რად მინდა?“ — გაბრაზდა ქალი, — „ერთი წუთი მაიცადე, ხურდა დაგბრუნო, შადი“. გოგიას მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, ქალს ხელი ჰკრა, „პატრონი დედაც“ შეუკურთხა და კაბინაში შეეკარდა. საპირფარეოს პრინციპული და შეურაცხყოფილი დარაჯი ქმართან და მზლთან გაიქცა, რომლებიც იქვე, ყურის ძირში მუშაობდნენ „საპოჭნიკებად“. წუთსაც არ გაეგლო, რომ „საპოჭნიკები“ კაბინას მისცვივდნენ, კარს ნიხლებს ურტყამდნენ და უმწეოდ მდგომარეობაში მყოფ გოგიას უშვერი სიტყვებით აგინებდნენ. ის იყო გოგიამ მარგლის შეკერა მოასწრო, რომ ხარაზებმა კარი შეგლიჯეს...

გოგია ორივეს უმონყალოდ სცემდა და ეს მათთვის აუტანლად დიდხანს გაგრძელებოდა, მილიცია რომ არ მისულიყო. ბოროტ ხულიგნობაში ეჭვმიტანილი გოგია დააპატიმრეს.

გამომძიებელი გახლდათ შუა ხანს მიტანებული, მკაცრი და უკომპრომისო, შეუბლაღავი რეპუტაციის კაცი. მის კაბინეტში შესული ეჭვმიტანილისთვის თითქოს ყველაფერი განათდა, რადგან იქ მთელ რესპუბლიკაში პატივცემი უფროსი ბიძაშვილი დახვდა. გამომძიებელმა თვალთა ანიშნა, დამჯდარიყო. გოგია მორიდებით ჩამოჯდა და თავი დახარა.

— მსგავსი რამ არასდროს გამოკეთებია, თენგიზმა კარგად იცის, — დაიწყო გამომძიებელმა და გოგიას ბიძაშვილს გადახედა, — მხოლოდ თენგიზის ხათრით ჩავფარცხავ ამ საქმეს და ცხოვრებაში პირველად კანონის უგულვებელყოფას მოვხადენ, რადგან არ მინდა, დაიღუპო. და აქვე, შენი თანდასწრებით მინდა თენგიზს ვუთხრა, რომ ნუ მინყენს და ასეთი თხოვნით აღარასდროს მომმართოს. საკუთარ პრინციპებს ვულაღატებ და ამ ერთხელ მეგობრობის გამო ჩავიდენ უპატიებელ შეცდომას, — გამომძიებელმა ხანგრძლივი პაუზა დაიჭირა, შემდეგ გოგიას თვალი თვალში გაუფარა და ჰკითხა: როგორ არ გრცხვენია, ასეთ ბიძაშვილს რომ არცხვენ?

გოგია მიხვდა გადაგრჩიო, გაიბადრა და უპასუხა: უფროსო, რო ჩამეჯვა, უფრო არ შევარცხვენდი?

განაწყენებულმა გამომძიებელმა საქმე აღარ დახურა და გოგიას ერთი წელი მიუსჯავს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ რუსეთში გადაიხვეწა და თანამზრახველებთან ერთად ორი საკომისიო მალაზია გაძარცვა. მერე ისევ დაიჭირეს და რვა წელი მისცეს. ციხიდან „ლაგერებიდან“ გამოსული გოგია სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ვლადივასტოკში დასახლდა და ცოლად ლოთი, თუმცა როზაზე გაცვილებით ლამაზი ქალი შეირთო.

რქანიტელზე დაპატირებულმა ღვიძლმა სპირტის აურაცხელ რაოდენობას ვერ გააუძლო და გოგია ციროზით გარდაიცვალა.

ერთი მოთხრობის კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს ერთი მოთხრობის კონკურსს 18-დან 30 წლამდე პროზაიკოსებისთვის.

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 40 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე **konkursi2010@yahoo.com**.

მოთხრობას თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მონმობის ასლი და ტელეფონის ნომერი. მოთხრობის გამოგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 10 მაისი. სამი გამარჯვებული ავტორი დასახელდება ივნისში. გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი პროზაიკოსისგან შემდგარი ჟიური.

სამი გამარჯვებული ნაწარმოები და, ასევე, მონონებული მოთხრობები გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.

I პრემია — 1200 ლარი
II პრემია — 800 ლარი
III პრემია — 500 ლარი

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com